შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№5 (10.061)

25 თებერვალი-4 მარტი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ოკუპაცია და შეცვლილი ისტორია

25 თებერვალი ის თარიღია საქართველოს ისტორიაში, რომელმაც კიდევ ერთხელ შეცვალა ჩვენი ქვეყნის რეალობა, კიდევ ერთხელ მრავალი წლით ათქმევინა უარი ქართველ ხალხს მუდმივ ოცნებაზე - ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე. თუმცა, კომუნისტურმა გადატრიალებამ ვერ ჩაკლა ქართული სული და ერის თავისუფლებისკენ სწრაფვის სურვილი...

მინიატურული წიგნაკი ტყავის ყდით, მეტალის ოქროსფერი ორნამენტებით და გაყვითლებული ფურცლებით, ერთდროულად ერთი ქალის ოჯახური ქრონიკაცაა და საქართველოს გასაბჭოების პირველი დღეების არტეფაქტიც. საუკუნის წინ გაკეთებული მოკლე ჩანაწერები ჰყვება ახალგაზრდა ქალის ამბავს, რომელმაც 1921 წელს ერთდროულად ქმარი და ორი შვილი გაგზავნა ორ სხვადასხვა ფრონტზე ბოლშევიკებთან საბრძოლველად. ამ წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, წიგნაკის პატრონმა, სოფიო ქობულაშვილმა 19 წლის შვილი. ოსიკო, იგივე იოსებ ჯანდიერი, რომელსაც დედა თვეების განმავლობაში ეძებდა, ხან ცოცხლებსა და ხან მკვდრებს შორის, ერთ-ერთია იმ 9 იუნკერს შორის, რომლებიც კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში ბრძოლის დროს დაიღუპნენ.

ყველა ომს ჰყავს თავისი მემატიანე. მაგრამ ნებისმიერი მოვლენის ყველაზე შთამბეჭდავი და უტყუარი მტკიცებულებაა დღიური, სადაც არა მხოლოდ მშრალი ფაქტები გვიყვებიან ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთზე, არამედ ადამიანური სევდა, სიხარული თუ იმედგაცრუებაც მოაქვთ თან... მარო. დღიური. საქართველო. 1918 წელი. მ.მ. ქეთო. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ - ამ წარწერების გვერდით მარო მაყაშვილს თავისი დღიურის გარეკანზე საქართველოს სამფერი დროშა მიუხატავს. მარო ამ დროს სულ 16 წლისაა. 1921 წლის 19 თებერვლამდე, კოჯრის ფრონტზე მისი ტრაგიკულად დაღუპვის დღემდე, მარო კიდევ ბევრ ფურცელს გაავსებს. მარო მაყაშვილის დღიურის დედანი ლიტერატურის მუზეუმში ინახება. მის ფურცლებს მკრთალად, მაგრამ მაინც ატყვია მაროს მოთხრობილი ამბები.

1927 წელს მაროს მამა, კოტე მაყაშვილი, დაწერს ქალიშვილზე: „1921 წლის თებერვალში თბილისის გარშემო ახმაურდნენ ზარბაზნები. ვერავითარმა მუდარამ, რჩევამ ვერ გაჭრა მაროზე. მე იქ უნდა ვიყვე, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი თანამემამულეთაო. 17 თებერვალს იგი ჩაეწერა წითელ ჯვარში მოწყალების დად. იმავე დღეს სანიტარულ რაზმთან ერთად წავიდა კოჯრისკენ. 19 თებერვალს საღამოს, მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ არც კი დააცალა უკანასკნელი სალამი ეთქვა სამშობლოსა და მშობელთათვის“.

ელიზბარ ერისთავი იმასაც იხსენებს, რომ მაროს მამას, მწერალთა კავშირის პირველ ხელმძღვანელს, კოტე მაყაშვილს, მაროს სიკვდილის გაგების შემდეგ ერთ ღამეში გასთეთრებია თმა. კოტე მაყაშვილი ახალგაზრდა - 52 წლისა - გარდაიცვალა.

თებერვლის ამბების შემდეგ მაროს ოჯახის წევრები არაერთხელ დაიბარეს დაკითხვაზე.

1937 წელს ელიზბარ ერისთავის მამაც გადაასახლეს და დახვრიტეს. ამის შემდეგ მათ ოჯახში არათუ მაროზე საუბრები, ზოგადად ახლობლების, მეგობრებისა და ზოგიერთი ნათესავის სტუმრობამაც იკლო. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მან მამას წერილი მისწერა, რომელშიც ცოტა თხილისა და ტკბილეულის გამოგზავნა სთხოვა.

წერილი ფრონტიდან: „...საყვარელო მამა! მე ჯერჯერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციისგან 112 ვერსზე ვართ, მეორისგან 5 თუ 7-ზე. მტერი ჯერ შორს არის, ძალიან სცხებენ ჩვენები. ძალიან აღფრთოვანებულები არიან. ცოტა თხილი და თუ შესაძლებელია, რამე ტკბილეული გამოგზავნეთ... თავს გაუფრთხილდით. გკოცნით ბევრს. ისე არა ცივა. მოკითხვა ყველა ჩვენებს. ნუ გეშინიანთ. გავიმარჯვებთ სახელოვნად. შენი მარო“.

მაროს დაკრძალვაზე ტიციან ტაბიძემ თქვა: „წარმოუდგენელია მეტი მწუხარება, რასაც განიცდის ქართველი საზოგადოება ამ ტრაგიკული სიკვდილის გამო. ბევრი მებრძოლი მხედარი იმსხვერპლა ამ ბრძოლამ, ბევრს კიდევ იმსხვერპლებს, მაგრამ ასეთი უცაბედი სიკვდილი უფრო მტანჯველია მაინც. თითქოს სიწმინდემ აკურთხა პირველ უმანკო სისხლით ქართული ფრონტი და ისიც მარიამისა. სამშობლოს სიყვარული კიდევ ბევრ ლანდს გააჩენს ჟანა დ’არკისა და კიდევ მეტ სასწაულს პატრიოტიზმისას“.

„რაკი ქართველი ხალხი, მისი გრძელი ისტორიის მანძილზე, უფრო ხშირად სხვათა ქვეშევრდომი ყოფილა, ჩანს ნიჰილისტები სჭარბობდნენ ჩვენში ოპტიმისტებს. მაგრამ რაკიღა ქართველი ხალხი დღესაც ცოცხალია, ქმნის, იღწვის, შრომობს და მომავალს აშენებს, ეტყობა, ოპტიმისტები უფრო ღონიერი და ძლიერი იყვნენ“ (ა.ბაქრაძე). ამიტომ, იმედი მაქვს, მარო მაყაშვილის სიტყვები გამართლდება: **„როგორც გაზაფხულმა გაიღვიძა, ისე ქართველი ერი იფშვნეტს თვალს. უნდა ველოდოთ, რომ სულ გამოფხიზლდება.“**

საქართველოს გასაბჭოებამდე კი ეს რეალობა იყო. თურქეთისა და სპარსეთის იმპერიების დასუსტებამ ქართველებს პოლიტიკური გაძლიერების საშუალება მისცა. ამ მიმართულებით ძალ-ღონე არ დაიშურეს თეიმურაზ მეორემ (1744-1762) და ერეკლე მეორემ (1762-1798), რომელთაც განაგრძეს ძლიერი კავკასიური სახელმწიფოს მშენებლობა. ქვეყანამ სამხედრო და ეკონომიკური ძლიერება დაიბრუნა, თუმცა, სპარსეთის სახით - რომელიც ყაჯართა დინასტიის მმართველობის პერიოდში კვლავ გაერთიანდა - საქართველოს ძლიერ ქვეყანასთან ალიანსი მაინც ესაჭიროებოდა.

ერეკლე მეორის მცდელობა, დაეინტერესებინა დასავლეთი, უშედეგო აღმოჩნდა. ამის გამო, იგი იძულებული გახდა მზერა კვლავ რუსეთისკენ მიემართა, თუმცა საქართველოს ურთიერთობა ამ ქვეყანასთან ადრეც წარუმატებლად დასრულდა. 1783 წლის 24 ივლისს ერეკლე მეორემ და ეკატერინე დიდმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობისა და პროტექტორატის ტრაქტატს. საქართველომ რუსეთის იმპერიას საგარეო პოლიტიკა დაუთმო საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ავტონომიურობისა და მთლიანობის დაცვის პირობით. საქართველოს საშინაო პოლიტიკა ხელშეუხებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ რუსეთმა ოფიციალურად დადებული პირობა არ შეასრულა.

ეკატერინე დიდი 1796 წელს დესპოტმა იმპერატორმა პავლე პირველმა შეცვალა; 2 წლის შემდეგ, ერეკლე მეორე მისმა უმოქმედო მემკვიდრემ, საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი მეთორმეტემ (1798-1800) შეცვალა, რომლის გარდაცვალების შემდეგაც, 1800 წლის 28 დეკემბერს, მის შვილებსა და ძმებს შორის ტახტისთვის ბრძოლა გაიმართა. 1801 წელს, 18 იანვარს იმპერატორმა პავლე პირველმა გამოსცა მანიფესტი, რომლითაც რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფოს ანექსია გამოაცხადა. 1801 წლის 15 სექტემბერს, ალექსანდრე პირველმა 1783 წლის ტრაქტატის დარღვევა ახალი საიმპერატორო მანიფესტით დაადასტურა. საქართველოს უძველესი სამეფო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად იქცა. საქართველოს ანექსიის შემდეგ, რუსები ძალას არ იშურებდნენ, რათა ამოეძირკვათ საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა ნაშთი და ქართველი ხალხის რუსიფიკაციისთვის მიეღწიათ. მაგრამ ისინი წააწყდნენ ქართველთა მტკიცე ნებას ტრადიციების, ენისა და ცივილიზაციის შენარჩუნებისა. XIX საუკუნის ბოლოსთვის ამ ბრძოლამ ახლებური, რევოლუციური ხასიათი შეიძინა. დაიწყო სოციალიზმის განვითარება და სოციალისტური დოქტრინები სწრაფად გავრცელდა საქართველოში.

ეროვნული მოძრაობა სოციალისტურ იდეებს შეერწყა და ამგვარად სათავე დაუდო განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც სააშკარაოზე იმის შემდეგ გამოვიდა, როცა პირველი მსოფლიო ომით დასუსტებულმა რუსეთმა თანდათან დაკარგა გავლენა მის მიერ დაპყრობილ ხალხებზე. მათი გათავისუფლება რუსეთის რევოლუციის შედეგად, 1917 წელს გახდა შესაძლებელი.

ქართველები და რუსეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხები ცარიზმის დამხობას დიდი სიხარულით შეხვდნენ და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისინი ახალი დემოკრატიული მთავრობის ერთგულნი დარჩნენ. ქართველებს არ უცდიათ გამოყოფა, ისინი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენით და თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნითაც დაკმაყოფილდნენ. მაგრამ 1917 წლის ნოემბერში, რუსეთში ხელისუფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში, რის შედეგადაც სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ქართველებმა და სხვა კავკასიელმა ხალხებმა უარი თქვეს ბოლშევიკური რეჟიმის ცნობაზე და 1917 წლის 22 ნოემბერს დაარსდა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის პრეზიდენტი ნოე ჟორდანია გახდა. იმავე გზას დაადგნენ სომხები და აზერბაიჯანელები. 1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკებმა ოთხთა კავშირთან გაფორმეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, რომლის ერთ-ერთი დებულება ითვალისწინებდა ორი ქართული (ბათუმი და არდაღანი) და ერთი სომხური (ყარსი) ოლქის თურქეთისთვის გადაცემას. კავკასიელმა ხალხებმა, რა თქმა უნდა, არ აღიარეს ეს შეთანხმება და 1918 წლის 9 აპრილს ამიერკავკასიის რუსეთისგან გამოყოფა და საქართველოს, სომხეთისა და აზებაიჯანის შემადგენლობით ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. ეს იყო პირველი ნებაყოფლობითი ფედერაცია სამი კავკასიელი ხალხის ისტორიაში. რევოლუციის დაწყების დღიდან, განსაკუთრებით ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, დაიწყო კავკასიის ფრონტზე თურქებთან მებრძოლი რუსეთის არმიის დაშლა. ჯარისკაცებმა ოფიცერთა დიდი ნაწილის ამოხოცვის, აღჭურვილობისა და იარაღის თურქებისთვის მიყიდვის შემდეგ დატოვეს ფრონტი და რუსეთში დაბრუნება დაიწყეს. საქართველო და სომხეთი თითქმის მთლიანად დაუცველი აღმოჩნდა ძლიერი თურქეთის პირისპირ. რუსეთის ჯარში გაწვეული 200 000 ქართველიდან საქართველოში მხოლოდ 15000-დან 18000-მდე სამხედრო მსახურობდა; დანარჩენები გერმანიისა და ავსტრიის ფრონტზე რჩებოდნენ. მიუხედავად ამისა, კავკასიელებმა, ყოველ შემთხვევაში - ქართველებმა და სომხებმა მაინც - გადაწყვიტეს, წინ აღდგომოდნენ თურქეთის წინსვლას. როგორც კი თურქეთის ჯარები საქართველოს და სომხეთის ჯარებს წააწყდნენ, გაჩაღდა ბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა დასაწყისშივე განწირული იყო, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის მესამე წევრმა, აზერბაიჯანმა, რომელიც თურქების მონათესავე ხალხით არის დასახლებული და მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებს, თურქეთის მხარე დაიჭირა. 26 მაისს ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაიშალა. იმავე დღეს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელშიც ყველა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული, საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება გამოაცხადა. ამგვარად, 116 წლის შემდეგ, საქართველომ დაიბრუნა კუთვნილი ადგილი თავისუფალ ხალხთა ოჯახში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, კომუნისტები რესპუბლიკის დამხობას და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეუდგნენ. რუსეთში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, რის გამოც კომუნისტებს საქართველოს დასაპყრობად მრავალრიცხოვანი ჯარის გაგზავნა არ შეეძლოთ. ამიტომ, მათ დროებით ხელი აიღეს ღია აგრესიაზე და სანაცვლოდ, ძირგამომთხრელ საქმიანობას შეუდგნენ. ათასობით მათმა აგენტმა შეაღწია საქართველოში, რომლის სასაზღვრო დაცვა და პოლიცია ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ ჩამოყალიბებული. იარაღი, აღჭურვილობა და ფული ურიგდებოდათ დეზერტირებს, ბანდიტებსა და სხვა დამნაშავეებს, რომლებიც საქართველოში, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, კომუნისტების ძირითად საყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. 1918 წლის შემოდგომის ბოლოსთვის, კომუნისტების მართულმა ამ ბანდიტურმა დაჯგუფებებმა დუშეთის რაიონში აჯანყება და არეულობა მოაწყვეს, მაგრამ ისინი ქართულმა მცირე შენაერთებმა ადვილად დაშალეს. 1919 წელი და 1920 წელი რუსეთში სამოქალაქო ომის ფაქტობრივი დასრულებით აღინიშნა. რუსი თეთრგვარდიელები დამარცხდნენ; კომუნისტები საყოველთაო გამარჯვებას ზეიმობდნენ. მათ კიდევ ერთხელ იგდეს ხელთ ჩრდილოეთ კავკასია. 1920 წლის აპრილში, კარგად დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების გზით, მათ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, რასაც მაშინვე მოჰყვა წითელი არმიის მიერ საქართველოს აღმოსავლეთ მოსაზღვრე რესპუბლიკის ტერიტორიის დაკავება და მთელი ქვეყნის ოკუპაცია. შუა აპრილისთვის ისინი საქართველოს საზღვრებსაც მოადგნენ და აზერბაიჯანში ადვილად მიღწეული წარმატებით შეგულიანებულნი, საქართველოს ტერიტორიის დაპყრობას შეუდგნენ. ამავე დროს, კომუნისტებმა სცადეს სახელმწიფო გადატრიალება თბილისში. კომუნისტთა აგენტებისა და დამნაშავეების შეიარაღებული ბანდა თავს დაესხა საქართველოს კადეტთა სკოლას,

/გაგრძელება გვ.2/

გასულ წელს დედოფლისწყაროში C ჰეპატიტის არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა

წინა წლებისგან განსხვავებით 2022 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არ გამოვლენილა C ჰეპატიტის არცერთი ახალი შემთხვევა. ამის შესახებ „შირაქს“ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში განუცხადეს.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი **მარიეტა გონაშვილი** „შირაქს“ ეუბნება, რომ დედოფლისწყაროში **C** ჰეპატიტის სამწლიანი პროგრამა განხორციელდა, რომელიც უკვე დასრულდა.

C ჰეპატიტი ქრონიკულად მიმდინარე პროგრესირებადი დაავადებაა, რომლის მკურნალობაც ათიათასობით ლარი ჯდება, რის გამოც წლების მანძილზე ამ დაავადებასთან ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში თითქმის ვერ ხერხდებოდა. ბოლო წლებში სახელმწიფო პროგრამით **C** ჰეპატიტის მკურნალობა და ძვირადღირებული მედიკამენტები დაფინანსდა, რამაც ძალზე ეფექტურად იმუშავა.

მარიეტა გონაშვილი: „მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა რაიონში დაფინანსდა C ჰეპატიტის უფასო კვლევები, რომელიც მანამდე არასოდეს ჩაგვიტარებია. 2019-20-21 წლებში დედოფლისწყაროს მერიამ გამოყო ფინანსები და შემთხვევითობის პრინციპით დაიტესტა 16 000-მდე ადამიანი, საიდანაც 32 ინფიცირებული გამოვლინდა. დადებითი პაციენტები გადამისამართდნენ ინფექციურ საავადმყოფოში. საბედნიეროდ, დამატებითი კვლევებიც და ძვირადღირებული მედიკამენტებიც სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება, ამდენად, ყველა მათგანმა გააკრძელა მკურნალობა. 2022 წელს კვლევები აღარ გვქონია, თუმცა ვინც კოვიდის გამო მოგვმართავდა, მათი შემოწმებაც ხდებოდა ჰეპატიტზე და შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასულ წელს არცერთი ახალი შემთხვევა არ გამოვლენილა. ამას ემატება ისიც, რომ დედოფლისწყაროს საავადმყოფოში შესული ყველა პაციენტი მოწმდება C ჰეპატიტზე და არც იქაა გამოვლენილი C ჰეპატიტის ახალი შემთხვევა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არავინაა ინფიცირებული. ფართო კვლევების შემთხვევაში, სავარაუდოდ, ისევ გამოვლინდება რამდენიმე დადებითი“.

სტატისტიკა კი ასე გამოიყურება:

2019 წელს გამოიყო 10 500 ლარი – შემოწმდა 5 378 ადამიანი, 22-ს დაუდასტურდა;

2020 — 10 700 ლარი – დაიტესტა 5 387, დაუდასტურდა 7-ს;

2021 — 9 000 ლარი – დაიტესტა 5 200, დადებითია 3.

დასუფთავების აქცია სამრეკლოში

სამრეკლოს საჯარო სკოლის თვითმმართველობისა და ეკოკლუბის ინიციატივით მოეწყო დასუფთავების აქცია. როგორც თვითმმართველობის პრეზიდენტმა **მზია ბენაშვილმა** „შირაქს“ განუცხადა, მათი მიზანი იყო მოსწავლეებს გაეაზრებინათ გარემოს დაბინძურების საფრთხეები და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

„თვითმართველობა მუდამ ჩართულია სხვადასხვა აქტივობებში. ჩვენი მიზანია, სკოლაში შემოვიტანოთ სიახლეები. დავნერგოთ, სახალისო აქტივობები, ყველა საფეხურის მოსწავლეს მივაწოდოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათი განვითარებისთვის. ვსაუბრობთ ბულინგთან დაკავშირებით, ასევე ვაცნობთ სხვადასხვა პრობლემის აღმოფხვრის გზებს, ვუყურებთ ცხოვრებისეულ ფილმებს და ვმართავთ დისკუსიებს. ჩვენი ერთ-ერთი ბოლო აქტივობა იყო ბუნების დაბინძურების თავიდან არიდება. ერთობლივი ძალებით განვახორციელეთ სკოლის ტერიტორიის საფუძვლიანი დასუფთავება. აქტიურად ჩაერთვნენ X და XI კლასის მოსწავლეები. ამით მაგალითი მივეცით საბაზო საფეხურის მოსწავლეებს, რომ აუცილებელია გავუფრთხილდეთ ბუნებას. ჩვენს თითოეულ გადაწყვეტილებას მუდამ გვერდში უდგას სამრეკლოს საჯარო სკოლის ადმინისტრაცია, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ. გპირდებით, კიდევ მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან აქტივობას განვახორციელებთ ახლო მომავალში,“ – აღნიშნავს მზია ბენაშვილი.

დედოფლისწყაროში წარმოებული ხის სათამაშოები გერმანიაში გამოიფინა

1–5 თებერვლის ჩათვლით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქ. ნიურნბერგში საერთაშორისო გამოფენა, სათამაშოების ბაზრობა „Spielwarenmesse 2023" გაიმართა. მსოფლიოში წარმოებული უახლესი სათამაშოები აქ ყოველწლიურად გამოიფინება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგენტოს პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით სათამაშოების ყველაზე მსხვილ გამოფენაზე საკუთარი პროდუქცია ცხრა ქართულმა კომპანიამ წარადგინა. „შირაქის“ ინფორმაციით, გერმანიაში გამოიფინა ასევე დედოფლისწყაროში მოქმედი ხის სათამაშოების საწარმო „ცაცია ოსტატი“-ს მიერ წარმოებული პროდუქცია. საქართველოს პავილიონს ესტუმრა და გამოფენის ოფიციალური გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ლევან ღვაჩლიანმა.

როგორც „ცაცია ოსტატის“ დამფუძნებელმა შოთიკო შანშიაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, გერმანიაში სათამაშოების 15 მოდელი გაიტანა. გამოფენა მას დაეხმარა ახალი კონტაქტები მოძიებაში და პირველი უცხოური შეკვეთის მიღების მოლოდინიც აქვს.

შოთიკო შანშიაშვილი: „ჩვენთვის პირველი იყო ასეთი გასვლითი გამოფენა. მიხარია, რომ შერჩევა გავიარეთ და ამ დონის გამოფენაზე მოვხვდით. საქართველოდან ხის სათამაშოების მწარმოებელი 6 საწარმო წავედით, საერთაშორისო გამოფენაზე სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველომ“ მიგვიწვია. სნორედ მათი ბენეფიციარები ვართ ჩვენ და მათი დაფინანსებით შევძელით იდეა საქმედ გვექცია. პირველ რიგში ასეთი გამოფენა ხელს უწყობს ჩვენი ცნობადობის გაზრდას და კლიენტების მოზიდვას უცხოური ბაზრიდან. მქონდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები 20-ზე მეტ მწარმოებელთან და სხვადასხვა მაღაზიების გაყიდვების წარმომადგენელთან. ვაგრძელებ მომონერას და დიდი იმედი გვაქვს, ახლო მომავალში მივიღებთ პირველ უცხოურ შეკვეთას. ჩვენი საწარმოს ამოქმედება პანდემიის პერიოდს უკავშირდება, 2020 წლიდან არსებობს. ამ ხნის მანძილზე 20 000-მდე სათამაშო შევქმენით. საკუთარი შემოსავლებით შევძელით ახალი სამუშაო სივრცე შეგვექმნა და რამდენიმე დღეში გადავალთ ახალ საწარმოში, რომელიც ქ. დედოფლისწყაროს №1 სკოლის უკან, სამხედრო ნაწილის ყოფილ ტერიტორიაზე გაიხსნება. ხის მასალას ადგილობრივ ბაზარზე ვიმარაგებთ, ნაწილი ქართულია, ნაწილიც შემოტანილი. საკმაოდ მოთხოვნადი პროდუქტია, ბევრი გამოწვევით. ჩვენთვის ყველაზე დიდი გამოწვევა არის სერთიფიცირების საკითხი, რაც ნიშნავს ჩვენი პროდუქციის უსაფრთხოების დადასტურებას. ამის შემდეგ ჩვენს ნაწარმს მიენიჭება 1+,2+,3+ ასაკის ბავშვებში უსაფრთხო პროდუქციის რეკომენდაცია“.

ილია მარტყოფლიშვილი

ოკუპაცია და შეცვლილი ისტორია

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

სადაც ერთი საჯარისო ბატალიონი იყო განთავსებული; დანარჩენი ბატალიონები ფრონტზე იყვნენ. მათი მცდელობა მარცხით დასრულდა. კადეტმა ოფიცრებმა დაამარცხეს კომუნისტები, რომელთაგან გაქცევა ვერც ერთმა მოახერხა. აზერბაიჯანიდან შეტევაზე გადმოსული რუსული ჯარების მიზანი საქართველოს დედაქალაქის, თბილისის, დაპყრობა იყო. თბილისი საზღვრიდან 96 კილომეტრით არის დაშორებული. ამჯერად ქართველები მათ დასახვედრად მზად იყვნენ. იმ დროს, საქართველოში დაახლოებით 40 000 შეიარაღებული ადამიანი იყო, მათგან 25 000 შეტევაზე გადმოსული წითელი არმიის რეგულარული ნაწილის წინააღმდეგ გადაისროლეს. გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია. ფოილოს ხიდთან გამართულ ბრძოლაში, სადაც ქართულმა არტილერიამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, რუსები სასტიკად დამარცხდნენ და სწრაფად დაიხიეს უკან. ქართველთა მიერ აყვანილ ტყვეებს შორის ყველა რუსი იყო, შესაბამისად კომუნისტების განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს აზერბაიჯანის ჯარებმა შეუტიეს და არა რუსებმა, აშკარა სიცრუე იყო.

1954 წლის 13 ოქტომბერს, კომიტეტის წინაშე ფიცის დადებით, ქართული არმიის ყოფილმა ოფიცერმა სიმონ კობიაშვილმა შემდეგი განაცხადა:

„1920 წელს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედი საბჭოთა ნაწილები ძირითადად იმ დანაყოფებისგან შედგებოდა, რომლებმაც ურალის ფრონტი გამოიარეს ადმირალ კოლჩაკის არმიაში ბრძოლისას. მაშინ და 1921 წლის შემდეგ, საბჭოთა ჯარებს არ ჰყავდათ არც ერთი არარუსი დანაყოფი ფრონტზე. (საქართველოს წინააღმდეგ არც ერთ არარუს ჯარისკაცს არ უბრძოლია. ყველა საჯარისო დანაყოფი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა, დაკომპლექტებული იყო რუსებით, რომელთა უმრავლესობა რუსეთიდან ჩამოიყვანეს). ჩემი აზრით, თავიანთ არმიაში არარუსები რომ ჰყოლოდათ კიდეც, ისინი არ იბრძოლებდნენ, დაუყოვნებლივ დატოვებდნენ მათ და ჩვენ მხარეს გადმოვიდოდნენ“.

ფოილოსთან გამარჯვების შემდეგ, ახალგაზრდა ქართული არმიის მთავარსარდალმა, გენერალმა კვინიტაძემ საქართველოს მთავრობას სთხოვა ნებართვა, დამარცხებულ მტერს საქართველოს საზღვრებს მიღმა დადევნებოდა. იგი, ისევე როგორც საქართველოს არმიის შტაბის ოფიცრების უმრავლესობა, დარწმუნებული იყო, რომ ქართულ ჯარებს თავისუფლად შეეძლოთ აზერბაიჯანის გათავისუფლება და რუსების განდევნა ამიერკავკასიიდან, კავკასიონის გადაღმა. თუმცა, დასავლეთის მოკავშირეების წარმომადგენლების რჩევით, თბილისში მთავრობამ უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე.

ეს იყო საბედისწერო შეცდომა, რადგან სულ მალე, წითელმა არმიამ სომხეთიც დაიკავა და საქართველო სრულიად მარტო აღმოჩნდა მტრის წინაშე. ფოილოსთან დამარცხების შემდეგ კომუნისტებმა ზავი ითხოვეს, რომელსაც ხელი მაისის დასაწყისში მოეწერა. აღსანიშნავია, რომ მაშინ, როცა საბჭოთა ჯარები საქართველოს ესხმოდნენ თავს, საქართველოს დელეგაცია მოსკოვში იმყოფებოდა საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმებაზე მოსალაპარაკებლად. მას შემდეგ, რაც საქართველოს ძალით დაპყრობის მცდელობა კრახით დამთავრდა, ხოლო რუსეთის ჯარმა მძიმე დამარცხება განიცადა ფოილოს ხიდთან ბრძოლაში, საბჭოთა მთავრობამ საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება. შედეგად, 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას. ქვემოთ წარმოდგენილია ამ შეთანხმების ძირითადი დებულებები:

პუნქტი 1. ვინაიდან რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა ცნობს ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას, მათ შორის იმ სახელმწიფოდან გამოსვლის უფლებას, რომლის ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ, რსფსრ უსიტყვოდ ცნობს ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, და საკუთარი ნებით უარს ამბობს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც რსფსრ-ს ჰქონდა ქართველი ხალხისა და მისი ტერიტორიის მიმართ.

პუნქტი 2. ხელშეკრულების პირველ პუნქტში აღიარებული პრინციპის თანახმად, რსფსრ იღებს ვალდებულებას საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

მაგრამ მოხდა ისე, რომ საბჭოთა რუსეთი ამ შეთანხმების ხელმოწერიდან 9 თვის შემდეგ მრავალრიცხოვანი ჯარით ყოველგვარი საბაბის გარეშე თავს დაესხა საქართველოს. ამ მოღალატურ თავდასხმას პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა მოყვა. შემდეგ წლებში მთელი მსოფლიო დარწმუნდა, რომ კომუნისტების ნდობა არ შეიძლებოდა და რომ ისინი შეთანხმებებს ხელს მხოლოდ იმიტომ აწერდნენ, რომ შემდეგში თვითონვე დაერღვიათ, მაგრამ 1920 წელს ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ საბჭოთა მთავრობა ისე მოიქცეოდა, როგორც ნებისმიერი ცივილიზებული მთავრობა. საქართველოს მთავრობა შეცდა, როდესაც მოსკოვის კომუნისტი ხელმძღვანელების სიტყვას ენდო. მათ იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა რუსეთთან „მშვიდობიანი თანაცხოვრება“ შესაძლებელი იყო, მაგრამ ეს იმედი მათ ძვირად დაუჯდათ. რუსულ-ბოლშევიკური მმართველობის ტერორი საქართველოში 1921 წელს ქვეყნის დაპყრობასთანავე დაიწყო. მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოს წევრებმა და ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა დატოვა საქართველო და საცხოვრებლად დასავლეთ ევროპაში გადავიდა.

საქართველო ისევე არ შეურიგდა მეორე დაპყრობას, როგორც პირველს. ქვეყანაში შეიქმნა საიდუმლო ორგანიზაციები, რომელთაც ვეტერანი მებრძოლები ხელმძღვანელობდნენ.

1924 წელს მოხდა დიდი აჯანყება, მაგრამ არათანაბარ ბრძოლაში აჯანყება ჩაახშეს, 7000 ქართველი სიკვდილით დასაჯეს და 20 000 გადაასახლეს.

1920 წლის 7 მაისის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ საქართველოში წარგზავნა „დიპლომატიური“ მისია ავადხსენებული კიროვის ხელმძღვანელობით, რომელიც მოგვიანებით ლენინგრადში მოკლეს. მან სწრაფადვე დაამყარა კავშირი საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერებთან (რომლის არსებობაც საქართველოში ნებადართული იყო) და შეუდგა ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას. მას საამისოდ დიდი თანხები და ბევრი გამოცდილი აგიტატორი, პროვოკატორი და აგენტი გააჩნდა. დაარსდა კომუნისტური უჯრედები და მებრძოლი ჯგუფები. მომზადდა „მეხუთე კოლონა“. შეთანხმების მე-6 მუხლის უხეში დარღვევით, საბჭოელებმა საქართველოს ტერიტორიის გარეთ „საქართველოს მთავრობაც“ კი შექმნეს. აღსანიშნავია, რომ ე.წ. „მთავრობის“ წევრები სტალინმა სულ რამდენიმე წლის შემდეგ დახვრიტა.

ამ ძირგამომთხრელი საქმიანობის პარალელურად, საქართველოს საზღვრებთან სამხედრო მზადება მიმდინარეობდა. საბჭოთა სამხედრო მზადების შესახებ მალე მთელმა მსოფლიომ შეიტყო. მოსკოვში გაიგზავნა საპროტესტო ტელეგრამა ლორდ კერზონის მიერ, რომელიც იმ დროისათვის დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ტელეგრამას საგარეო საქმეთა საბჭოთა კომისარმა ჩიჩერინმა ასეთი პასუხი გასცა:

„რუსეთმა ცნო საქართველო დამოუკიდებლობა. რუსეთი პოლიტიკა მხარს უჭერს მცირე ერების თვითგამორკვევის პრინციპს. საქართველოსაგან ჩვენ არაფერი მოგვითხოვია. საბჭოთა რუსეთს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ არ ჩაუდენია და არც ჩაიდენს არანაირ მტრულ ქმედებას.“

მაგრამ როდესაც ჩიჩერინი ამ ტელეგრამას წერდა, რუსები უკვე თავდასხმისთვის ემზადებოდნენ. საბჭოთა გარესამყაროსთან ურთიერთობაში რუსეთს არასოდეს ჩაუდენია უფრო ვერაგული დანაშაული, ვიდრე საქართველოსთან მიმართებაში და მისი აგრესია არასოდეს ყოფილა უფრო ღია და ცინიკური. 1921 წლის 11 თებერვალს, 4 საჯარისო ერთეულისგან შემდგარი წითელი არმია საქართველოს თავს ერთდროულად ხუთი მხრიდან დაესხა. ორი ძირითადი შეტევა აღმოსავლეთიდან (აზერბაიჯანი) და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (სომხეთი) განხორციელდა. სამი დანარჩენი თავდასხმა კავკასიონის მთებიდან დარიალის და მამისონის გავლით და შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ მოხდა. ამ დიდ ძალას საქართველომ ყველა ფრონტზე დაახლოებით 40 000 კაციანი არმია დაუპირისპირა (მუდმივი ჯარი და ეროვნული გვარდია). სამწლიანი დამოუკიდებლობის განმავლობაში საქართველოს დასავლეთიდან არც ერთი თოფი ან ამუნიციაც კი არ მიუღია. ქვეყანას საერთოდ არ ჰყავდა ავიაცია და ტანკები. ასე რომ, საქართველოს წარმატების შანსი ძალზე მცირე იყო. მიუხედავად ქართული არმიის გასაოცარი გმირობისა, ქვეყანამ ვერ გაუძლო საბჭოთა შემოსევას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ ომში თურქეთი საბჭოთა რუსეთის მხარეს ჩაება. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ქემალ ფაშას თურქეთს საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, რომლისგანაც იგი იარაღითა და აღჭურვილობით დახმარებას იღებდა საბერძნეთისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. 1921 წლის 6 მარტს

/გაგრძელება გვ.3/

აღმოსავლეთ საქართველოში წითელი დროშა პირველად წითელწყაროში აღიმართა

1921 წლის თებერვალში, როცა პატრიოტები საქართველოს საბჭოთა ოკუპაციისგან დაცვას ცდილობდნენ, დედოფლისწყაროში საბჭოთა არმიას პეტრე კურიშკო შემოუძღვა. რუსის ჯარი წითელწყაროში ქვემო ქედიდან შემოვიდა. მე-18 ცხენოსანი დივიზიის მეთაურს, კურიშკოს დედოფლისწყაროელებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს. პეტრე სადისტი მკვლელი იყო და ძალიან ბევრი ქიზიყელის სისხლი დაღვარა. ისტორიულ წყაროებში ნათქვამია, რომ ის გმირულად დაიღუპა მენშევიკებთან ბრძოლაში. თუმცა, გმირულად არა... არც მენშევიკებთან... დღევანდელი კულტურის სახლის ტერიტორიაზე, რომელსაც „ფიქრის გორას“ უწოდებდნენ, პეტრეს დღემდე უცნობმა გმირმა გლეხმა ესროლა და გაუჩინარდა. რუს ოკუპანტს ტყვია შუბლში მოხვდა. გლეხი დედოფლისწყაროელებმა დამალეს და მის სახელს ისე გაუფრთხილდნენ, რომ დღემდე არავინ იცის, ვინ იყო ის უსახელო გმირი პატრიოტი. ამბობენ, რომ მან ღრმა სიბერემდე და ბედნიერად იცხოვრა. კურიშკოს ძეგლი 90-იანი წლების შემდეგ ჩამდეგ ჩამოაგდეს, 1989 წელს აქ ჩამობრძანებულმა კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ ძეგლის ადგილას კვერთხი დაჰკრა და ტაძრის მშენებლობა აკურთხა,. სწორედ იმ ადგილზე დღეს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის საკათედრო ტაძარი დგას.

102 წლის წინანდელი გასაბჭოების ამბების შესახებ საინტერესო ჩანაწერებია დაცული დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც. საარქივო ჩანაწერებს „შირაქმა“ თვალი კიდევ ერთხელ გადაავლო. როგორც ირკვევა, თებერვალში შემოსული კურიშკო 1 მაისის „პარადისთვის“ უკვე მოკლული იყო. ზუსტი თარიღი არ იძებნება, თუმცა, მისი ხსოვნისთვის ძეგლი სწორედ 1 მაისს გაუხსნიათ. პირველი ძეგლი კულტურის სახლის ტერიტორიაზე იდგა, შემდეგ ის დააზიანეს და აღდგენილი ძეგლი უკვე ტაძრის ადგილას გადმოიტანეს.

„ᲫᲕᲔᲛᲝ ᲫᲔᲓᲘᲓᲐᲜ, ᲛᲘᲚᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲯᲐᲠ ᲡᲕᲔᲩᲔᲜᲝᲕᲙᲐᲨᲘ (ᲡᲝᲤ. ᲡᲐᲛᲠᲔᲙᲚᲝ, ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ) ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲔᲜᲔ. ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲘ ᲛᲘᲒᲐᲒᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ ᲘᲓᲒᲐ – ᲛᲐᲚᲔ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲐᲤᲠᲘᲐᲚᲓᲐ. ჩანაწერებმა შემოინახა და ნათქვამია ისიც, რომ ვიდრე რუსული ჯარი აზერბაიჯანიდან შემოვიდოდა, ადგილობრივებს მათთან საიდუმლო კავშირი ჰქონიათ. დღეს ასეთი ქმედება შესაძლოა მოღალატეობრივადაც შეფასდეს, თუმცა იმხანად, რადგან მეფის წყაროში მენშევიკების ყაზარმები იყო განთავსებული, ამის გამო ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი კურიშკოს ჯარს იმედით შეხვდა. ამას მოწმობს ჯაფარიძის ცენტრში დახვედრაც. საარქივო ჩანაწერებში ნათქვამია, რომ **კურიშკოს ცხენოსანთა პოლკთან საიდუმლო კავშირი ჰქონდა იმ დროს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ არალეგალურად მებრძოლ ბოლშევიკურ სიღნაღის მაზრის ორგანიზაციას (ხელმძღანელი ვარამაშვილი). მათი ორგანიზაცია წითელწყაროშიც იყო, სწორედ მათი თანხლებით შემოვიდა 17 თებერვალს ღამის 9-10 საათზე კურიშკო მეფის წყაროში.**

კურიშკო გაემართა ქალაქის ცენტრში, მეფის წყაროში, სადაც ქართველი მენშევიკების მცირე ჯგუფები ყაზარმებში იყვნენ გამაგრებულნი. იქიდან ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა კურიშკო. საპასუხოდ მწყობრში ჩადგა150 ჯარისკაცი ადგილობრივი მოსახლეობიდან და იარაღით შური იძია მტერზე.

აზერბაიჯანიდან რუსული ჯარი 1921 წლის 17 თებერვალს შემოვიდა, 19 თებერვალს კი დედოფლისწყაროში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. წითელი დროშის აფრიალებასთან დაკავშირებით წითელწყარო უწოდეს. მანამდე მას მეფის წყაროს ეძახდნენ. ჩვენს ქალაქში სტალინის ქუჩა №124-ში (ახლანდელი ჰერეთის ქუჩა) წითელი არმია დასასვენებლად შევიდა „ივან ივანიჩის“ (სომეხი კარაპეტოვიჩი) ეზოში. მას ჰქონდა ძალიან დიდი ეზო. მათთან ერთად იყო კურიშკოც (1894-1921წწ). კურიშკოს ჯარისკაცმა შეატყობინა ყაზარმებიდან ისვრიანო. სასწრაფოდ გაეშურა ამჟამად კულტურის სახლის ტერიტორიაზე, შემაღლებულ ადგილზე, რომელსაც მაშინ „ტრუბაჩევსკაია გორკა“ ეწოდებოდა. ცხენზე ამხედრებული ბრძანებებს იძლეოდა. ამ დროს ესროლეს და 18 ჭრილობა ჰქონდა. ის მაშინვე გარდაიცვალა.

ჩანაწერების მიხედვით არსებობს ერთ-ერთი ვერსიაც, სადაც მენშევიკებთან შეტაკების დროს კურიშკო სასიკვდილოდ დაიჭრა. სიკვდილის წინ მან თავისი იარაღი გადასცა კომისარ პარტიანბეკოს და უთხრა: „განაგრძე დაწყებული საქმე, დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს.“

1921 წლის საპირველმაისოდ კურიშკოს პატივისცემის ნიშნად ძეგლი აიგო მისი მკვლელობის ადგილზე. 1978 წელს კი ძეგლი აღდგა და სხვა ადგილას, ქალაქის პირველ სკოლასთან მდებარე პარკში უფრო დიდი ზომის დადგეს. საარქივო ჩანაწერებში ნათქვამია, რომ არქიტექტორი იყო წითელწყაროს არქიტექტორი **ვახტანგ ბაცაცაშვილი**, ხოლო მოქანდაკეები: **ოთარ მელიქიშვილი, ვახტანგ ფეტვიაშვილი** და **ავთანდილ კიკნაველიძე.**

1 მაისს საზეიმო მიტინგი გაიმართა. ითქვა, რომ ამ მიდამოებში არსებულ სოფლებს: ჩიჩინოვკას, ნიკოლაევკასა და მეფის წყაროს შეეცვალოს სახელები. მაშინ **ᲩᲘᲩᲘᲜᲝᲕᲙᲐᲡ – ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ ᲔᲬᲝᲓᲐ, ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲙᲐᲡ – ᲚᲔᲜᲘᲜᲝᲕᲙᲐ, ᲛᲔᲤᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲙᲘ – ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ.**

ოფიციალურ საისტორიო წყაროებში და კომუნისტური რეჟიმის დროს გამოცემულ ქართულ გაზეთებში კურიშკოს სიკვდილი გმირულად იყო გადმოცემული. თუმცა, არსად იყო საუბარი იმაზე, რომ მეთაური მოკლეს. დედოფლისწყაროში კი დღემდე ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ის ადგილობრივმა გლეხმა მოკლა და ხალხმა მისი ვინაობა დაიცვა და ბოლომდე საიდუმლოდ შეინახა.

ვაჟა პაპუაშვილი: „კურიშკო, წითელი კაზაკების დივიზიის მეთაური, მოკლა გვარდიელმა დარჩიაშვილმა, ყაზარმის ფანჯრიდან ესროლა! ის ყაზარმა დღესაც არსებობს და გზიდან ჩანს მისი კედლები. კურიშკო დღევანდელი კულტსახლის ტერიტორიაზე მოკლეს, რადგან მაშინ გზა მანდ გადიოდა, იმ ადგილზე იდგა მისი ძეგლი და შემდეგ კულტსახლის აშენების გამო გადაიტანეს ამჟამინდელი ტაძრის ადგილზე. ეს ცნობილი ფაქტია და სტატია სახალხო ფრონტის გაზეთში 1990 წელს დაიბეჭდა, ოღონდ იქ გვარდიელის გვარი ეწერა დარჩია, დარჩიაშვილის ნაცვლად“.

მოამზადა ილია მარტყოფლიშვილმა

ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

/დასაწყისი გვ.2/

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ბათუმში ბოლო სხდომა ჩაატარა და რესპუბლიკის მთავრობას ქვეყნის დატოვება, ევროპაში გამგზავრება და იქიდან ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენაზე ზრუნვა უბრძანა. მთავრობამ ქვეყანა მეორე დღესვე დატოვა, რუსეთის ჯარი კი ბათუმში 20 მარტს შემოვიდა.

ასე რომ, ღალატის, ვერაგობისა და სასტიკი ძალის გამოყენებით კომუნისტურმა რუსეთმა ბოლო მოუღო საქართველოს დამოუკიდებლობას, ისევე როგორც ცარისტულმა რუსეთმა 120 წლით ადრე, 1801 წელს. წითელი არმია თბილისში 1921 წლის 25 თებერვალს შევიდა. იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. სამი დღე ქალაქში იყო ძარცვა, მკვლელობა და გაუპატიურება. თვითმხილველის მონათხრობში აღწერილია ის საშინელება, რაც ხდებოდა თბილისსა და კომუნისტური ჯარების მიერ ოკუპირებულ სხვა ქალაქებში. თუმცა, ბრძოლის დასრულების შემდეგ, საქართველოს საბჭოთა მთავრობამ შეარბილა თავისი დამოკიდებულება ხალხის მიმართ. რა თქმა უნდა, მათ უამრავი ადამიანი დააკავეს, მაგრამ თავიდანვე სიკვდილით ბევრი არ დაუსჯიათ. ლენინმა თავად ურჩია ქართველ კომუნისტებს, არ მიემართათ იმ ზომებისთვის, რომლებიც თვითონ გამოიყენა რუსეთში. ერთი წლის განმავლობაში საქართველო არც ითვლებოდა საბჭოთა კავშირის წევრად. მხოლოდ 1922 წლის 12 მარტს გამოცხადდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემადგენლობით და მათი შესვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (1936 წელს, ამიერკავკასია კვლავ სამ ნაწილად გაიყო). საქართველოს ოკუპაციიდან მცირე ხნის შემდეგ, კომუნისტებმა განახორციელეს ის, რასაც თავად „სკოლის რეფორმას“ უწოდებდნენ. ყველა საშუალო სკოლა (გიმნაზია) დაიხურა როგორც „ბურჟუაზიულ-თავადური“ ტიპის სასწავლო დაწესებულება და მათ მაგივრად გაიხსნა ე.წ. მშრომელთა სკოლები. სასწავლო პროგრამები მთლიანად შეიცვალა. მაგალითად, გარკვეული დროით აიკრძალა საქართველოს ისტორიის სწავლება, რის მაგივრადაც შემოიღეს „კლასობრივი ბრძოლის“ ისტორია. ყველაზე მეტი ყურადღება მარქსიზმის სწავლებას ეთმობოდა. რუსული ენის სწავლების საათების რაოდენობა განუზომლად გაიზარდა, დასავლური ენების, ლათინურის და ბერძნულის სწავლება კი ან მინიმუმამდე შემცირდა ან საერთოდ გაუქმდა. გაჩნდა ქართული ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელოები, რომლებშიც არ იყო მოცემული რამდენიმე უდიდესი ქართველი მწერლის ნაწარმოებები, სამაგიეროდ შეტანილი იყო კომუნისტი მწერლების ნაწარმოებები. სახელმწიფო უნივერსიტეტმა სრული რეორგანიზაცია განიცადა. ზოგიერთი ფაკულტეტი მთლიანად გაუქმდა; დანარჩენებს სასწავლო პროგრამები შეუცვალეს. მათ დაუმატეს ახალი „ინსტიტუტები“, როგორიცაა მაგალითად: „საბჭოთა პედაგოგიური“, „საბჭოთა სამართალი“, „საბჭოთა საფინანსო-ეკონომიკური“, რომელსაც შემდეგ „კოლმეურნეობის ფაკულტეტი“ მიუერთდა, და სხვა მრავალი. დაითხოვეს, დააპატიმრეს, გადაასახლეს ან სიკვდილით დასაჯეს არაერთი პროფესორ-მასწავლებელი, რომელთა ადგილიც უვიცმა ადამიანებმა დაიკავეს - მათი ერთადერთი კვალიფიკაცია ის იყო, რომ ისინი საიმედო კომუნისტები იყვნენ. ისევე, როგორც საბჭოეთის სხვა ქვეყნებში, აკადემიური დამოუკიდებლობა აქაც დაუშვებელი გახდა. ყველაფერი უნდა ესწავლებინათ იმგვარად, როგორც ამას მოსკოვი ბრძანებდა. ყოველი გადახრა მოსკოვის მიერ ნაკარნახევი ხაზიდან მკაცრად უნდა გაკონტროლებულიყო. ისტორია, პოლიტიკური მეცნიერება, ეკონომიკა და სხვა დისციპლინები კომუნისტურ იდეოლოგიასა და თეორიებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ხელახლა დაიწერა. ისტორიის საგანი ყველაზე მეტად დაიჩაგრა. ისტორიული ფაქტები დროდადრო სხვადასხვანაირად მახინჯდებოდა. პროფესორს, რომელიც იმ დროის საბჭოთა ხაზს მიჰყვებოდა, გარკვეული საფრთხე მაინც ემუქრებოდა, რადგან რამდენიმე წლის შემდეგ, ან იქნებ უფრო ადრეც, შესაძლო იყო ოფიციალური პარტიული ხაზის ცვლილება, რაც მას „უკლონისტად“ ან „მოღალატედ“ აქცევდა. იმ ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა სია, რომლებიც კომუნისტებმა სიკვდილით დასაჯეს ან რომლებიც ციხეებსა და კოლონიებში დაიხოცნენ, ძალზე გრძელია. ის მოიცავს ქართული ინტელექტუალური ელიტის საუკეთესო წარმომადგენელთა და არაერთი მსოფლიო რეპუტაციის მქონე ადამიანის სახელს. კომუნისტებმა ბრძოლა გამოუცხადეს რელიგიას და გავრცელებული ფრაზით, რომ „რელიგია ხალხის ოპიუმია“, სასულიერო პირების დასჯა, ეკლესია-მონასტრების ნგრევა და მათი ბოსლებად გადაქცევა დაიწყეს. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ამბროსი ხელაიამ კი ანდერძივით დაგვიბარა სიტყვები, რომლებიც ქართველი ხალხის გაუტეხელობისა და ღმერთისადმი ერთგულების სიმბოლოდ იქცა: „შეუძლოდ მყოფმა და ღონემიხდილმა, ქართული ეკლესიის ასაკოვანმა და პატივსაცემმა პატრიარქმა ისეთი სულიერი სიმტკიცე და გამბედაობა გამოავლინა, რომ მისი სასამართლო ეკლესიისა და ქართველი ხალხის ზნეობრივი გამარჯვებით დასრულდა.

„ჩემი სული მაღალ ღმერთს ეკუთვნის, – განაცხადა მან, – ჩემი გული სამშობლოს, მძორი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალნო!“

მოამზადა
ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

„ხალხს კულტურული ცხოვრება სწყურია"

საქართველოში კინოსადმი ინტერესი და კინოცხოვრებისთვის საჭირო გარემოს შექმნაზე ზრუნვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან იწყება. 1918 წელს, ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოების მიხედვით გადაღებული, პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინე" პრემიერა გაიმართა. 1918-1921 წლების საქართველოში, ოცზე მეტი კინოთეატრი არსებობდა. კინოთეატრებში საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ ამერიკულ, იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ფილმებს უჩვენებდნენ. 1918 წლის 26 ოქტომბერს, გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა" გამოქვეყნდა ცნობა კინოთეატრებში ბილეთების სისტემის დანერგვის შესახებ. 1918 წელს, პირველმა კავკასიურმა კინემატოგრაფიულმა „კინოსაიუზმა" კინომექანიკოსის სამთვიანი კურსებიც კი გამოაცხადა, რომლის დასრულების შემდეგ გაიცემოდა ცნობა. ამავე დროს, თბილისში ხოდოროვის და ლეონტოვიჩის დრამატული სტუდია ფუნქციონირებდა, სადაც კინოხელოვნების კლასიც იყო გაერთიანებული.

ამ მოვლენებიდან ათეული წელი გავიდა. საქართველოში კინოხელოვნება სხვა საფეხურზე გადავიდა. თითოეულ ქალაქსა თუ სოფელში კინოკლუბები მოსახლეობის გართობის, შემეცნებისა და თავისუფალი დროის გატარების მთავარ ადგილად იქცა. ქართული თუ მსოფლიო კინომოვლენების პულსზე ხელი არც ჩვენს მხარეს აუღია. კონკრეტულად სოფელ არბოშიკზე, მის კინოკლუბზე და ამავე კლუბის ცნობილ კინომექანიკოსზე **ზაალ (უშანგი) მაჩაბლიშვილზე** უნდა მოგიყვეთ, რომელსაც სულ ახლახანს 90 წელი შეუსრულდა. სოფელ არბოშიკში, უფროსი თაობის წარმომადგენლებს თუ ჰკითხავთ, ყველაზე მეტად ახალგაზრდობიდან რა გენატრებათო, სოფლის კლუბში მიმდინარე კინოჩვენებებს და მის უცვლელ კინომექანიკოსს აუცილებლად დაგისახელებენ. უმეტესობა ასე დაახასიათებს იმ დროს: „როდესაც სოფლის კლუბი სხვადასხვა ფერით გაფორმებულ დიდ აფიშას გამოაკრავდა წარწერით: „საღამოს, ნაჩვენები იქნება ინდური მხატვრული ფილმი - „პროკურორის ვაჟი", მთელი სოფელი „დაირაზმებოდა" და მწყობრად მიდიოდა სეანსზე დასასწრებად. ამ კინოჩვენებებზე დასწრებული ხალხის რაოდენობა და რეაქცია ანშლაგზე მეტი იყო. დროდადრო, აფიშაზე მხოლოდ ფილმის სახელწოდება იცვლებოდა..."

ბატონ უშანგისთან (ყველა ამ სახელით იცნობს მას, ჩვენც ამ სახელით მოვიხსენიებთ) ინტერვიუ მისი შვილის, ნანა მაჩაბლიშვილის სახლში ჩავწერეთ. მიუხედავად ცუდი ამინდისა, მისი განწყობა ნამდვილად ამაღლებული იყო. საქმე ხომ მისი ცხოვრების მთავარ პროფესიას ეხებოდა. საუბარი ბავშვობიდან, ახალგაზრდობის წლებიდან დავიწყეთ:

„ხშირად, როდესაც ჩემი დაბადების წელს მეკითხებიან, გონებაში ვფიქრობ, რომელი წელი ვუპასუხო, რადგან სხვადასხვა დროს, გარკვეული მიზეზებით, დაბადების მოწმობა სხვადასხვა წლით ჰქონდა ჩემს ოჯახს აღებული. საბოლოო ცნობით, 1933 წელს დავიბადე, სოფელ არბოშიკში. განათლებაც ამავე სოფლის სკოლაში მივიღე. ძალიან კარგი და განათლებული მასწავლებლები მყავდა, ნამდვილად საქებარი ხალხი იყო. სამწუხაროდ, ოჯახის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასწავლებლად ვერსად წავედი, რაიმე კონკრეტული პროფესია არ მიმიღია. ჩემი მეუღლე ნაზი ქშუტაშვილი იყო. მყავს სამი შვილი - ქეთევანი, ნანა და რევაზი". კითხვაზე-ჰქონდა თუ არა ოცნება ბავშვობასა და ახალგაზრდობაში, მპასუხობს: „ალბათ, ახლა სასაცილოდ გაიჟღერებს, მაგრამ მაშინ ყველაზე პოპულარული პროფესია (ახალგაზრდებში) მძღოლობა იყო. მეც მძღოლი მინდოდა გამოვსულიყავი. ალბათ, ჩემი ოცნება მანქანების სიყვარულიდან გამომდინარეობდა (თუკი მას ოცნებას დავარქმევთ). იმის გამო, რომ ვერ შევძელი ამ საქმეს პროფესიული კუთხით გავყოლოდი (მშობლები უკვე მოხუცები მყავდა), კინომექანიკოსობა ავირჩიე. 1954 წლამდე კინომექანიკოსის დამხმარე მძღოლი ვიყავი. თბილისელი კაცი იყო დანიშნული კინომექანიკოსად, რამდენიმე თვე იმუშავა. მისი წასვლის შემდეგ, რამდენიმე ადამიანმა სცადა ამ ადგილზე მუშაობა, მაგრამ ფეხი ვერავინ მოიკიდა. მაშინ, რადგან დენი არ იყო, დასაწყისისთვის „მატორისტად" ვიყავი გაფორმებული, მაგრამ ძალიან მალევე გადავიბარე საქმე და 1959 წლიდან კინომექანიკოსი გავხდი".

ალბათ, გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ ადამიანი, რომლის ოცნებაც მძღოლობა იყო და თავისი ცხოვრების სამ ათეულ წელზე მეტი კინომექანიკოსის პროფესიას მიუძღვნა, მსახიობობასაც ითავსებდა. მაშინდელ არბოშიკის თეატრალურ დასთან ერთად ხშირად დადიოდა სოფლებში და სპექტაკლებს დგამდა. მასზე სოციალურ ქსელში ასეთ კომენტარებსაც წააწყდებით: „ჩემი ბავშვობა, კინო და კლუბის დრამწრე, მის გარეშე არ არსებობდა. მახსოვს, ერთხელ „გლახის ნაამბობი" დადგეს. პეპიას როლს ბრწყინვალედ თამაშობდა, დღემდე დაუვიწყარია". ამბობს, რომ მსახიობობაც მოსწონდა, მაგრამ მისთვის მეტი დრო აღარ დაუთმია. თეატრის სცენიდან კინოს კულისებში გადავიდა. „წელიწადნახევარი ვიყავი მსახიობად. პარალელურად, კინომექანიკოსობასაც ვითავსებდი. ახლაც მირეკავენ და მაშინდელ სპექტაკლებს მახსენებენ, რა კარგად ასრულებდითო."

იხსენებს წლებს, როცა პირველად გაჩნდა კინო სოფელში. „1948-49 წლებში, ჩემამდე გაცილებით ადრე, მუნჯი კინო შემოვიდა სოფელში. მხოლოდ ომის შემდგომ დამკვიდრდა ხმოვანი ფილმები. საზოგადოებას უფრო მეტად აზრიანი, შინაარსიანი კინო მოსწონდა; ფილმები, რომელსაც ღრმა ქვეტექსტი ჰქონდა. მეც ყოველთვის ასეთ ფილმებს ვარჩევდი კინოგაყიდვიდან. ასარჩევად სპეციალურად გურჯაანში მივდიოდი. ვცდილობდი, რომ ხალხის ინტერესები ყოველთვის გამეთვალისწინებინა და მათთვის საინტერესო, მოსაწონი ჩვენებები მქონოდა. ვგეგმავდით, რა ფილმი უნდა გაგვეშვა. მეც მომეწონებოდა ფილმების ჩამონათვალი და ავირჩევდი, წამოვიღებდი. ეს პროფესია ჩემს ცხოვრებაში ბუნებრივად, თავისთავად შემოვიდა."

კითხვაზე, თუ როგორ შეცვალა კინოჩვენებებმა მისი და სოფლის ცხოვრება, მპასუხობს: **„კინომ მხოლოდ ჩემი კი არა, ძალიან ბევრი რამ შეცვალა სოფლის ცხოვრებაშიც. პირადად, ჩემს ცხოვრებაში მეტი ხალისი შემოიტანა, მეტი კავშირი და ადამიანური ურთიერთობა გააჩინა. მიყვარდა ჩემი პროფესია, მაინტერესებდა და მსიამოვნებდა იმის კეთება, რაც ხალხს აბედნიერებდა. რაც მთავარია, კეთილსინდისიერად ვმუშაობდი. ახალი ფილმები როგორც კი გამოდიოდა, მაშინვე ჩნდებოდა მასზე მოთხოვნა, მეუბნებოდნენ, წადი ჩამოიტანეო. კინომ ხალხში კულტურა შემოიტანა. სოფელში მცხოვრები ნებისმიერი სფეროსა თუ ფენის წარმომადგენელი მოდიოდა კინოში. სხვადასხვა ქვეყნების ფილმები შემოდიოდა, მაგრამ განსაკუთრებულად პოპულარული მაშინ არაბეთსა და ინდოეთში გამოშვებული ფილმები იყო. ამერიკულიც გადიოდა. დიდებული ფილმები იყო. ერთ სეანსზე დასასწრები ბილეთის ფასი აბაზი იყო (ძველი ფულის ერთეული, უდრიდა ოც კაპიკს). მიწევდა მოძრავ კინოჩვენებებზე მუშაობაც. როდესაც მთაში ცხვრის პარსვა იწყებოდა, იქაც მიმქონდა ფილმები, მწყემსებთან. მწყემსებს საოცარი რეაქცია ჰქონდათ-ხოლმე. წავიღებდი „გიორგი სააკაძეს". მოგეხსენებათ, რომ დაქირავებული მწყემსები ეთნიკურად არაქართველები იყვნენ. ფილმის შინაარსი განსაკუთრებით მოქმედებდა მათზე, ქართველების გამბედაობითა და პატრიოტიზმით გაკვირვებულები და ცოტათი განცვიფრებულებიც რჩებოდნენ".**

მის საყვარელ ფილმზეც ვკითხე: „ჩემი საყვარელი ფილმი „ჰამლეტი" იყო. თვეში ერთხელ აუცილებლად მომქონდა საჩვენებლად- „ჰამლეტი", „ბაში-აჩუკი", „ფატიმა", ეს უკანასკნელი გაცილებით შინაარსიანი იყო. რუსულ ფილმებზე მოთხოვნა მაინც და მაინც არ იყო. თუმცა, ხალხს ყველანაირი ტიპის, ჟანრის და ქვეყნის ფილმი მიეწოდებოდა, რომლებმაც სოფლის ცხოვრებაში გარკვეული კულტურა ჩამოაყალიბა. საღამოობით გადიოდა სეანსები. ისეთი მოთხოვნა იყო ამ ფილმებზე, სეანსებსაც კი ვამატებდი. ფილმები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის ისტორია გააცოცხლეს, აყალიბებდა და აღვივებდა პატრიოტულ სულისკვეთებასაც მოსახლეობაში. გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ხალხი თავად ითხოვდა განმეორებით ჩვენებას. ყოველი ჩვენება უფრო და უფრო ზრდიდა მოთხოვნას ამ შინაარსის ფილმებზე".

ცოტა ვისაუბრეთ თუ ბევრი, ყველაზე საინტერესო, მხიარული მოგონებების ნაწილზეც გადავედით, რამდენიმე მათგანი სიამოვნებით გაიხსენა: „როდესაც ფული შეიცვალა, კინოჩვენებაზე ბილეთის ფასი მანეთი გახდა (1 ლარი). მაშინ მოლარე არ გვყავდა და ხელზე ვიღებდით ბილეთის თანხას. ოზაანში, სადაც პირველმა შევიტანე კინოაპარატები, ერთი ბერიკაცი მოვიდა ჩვენებაზე. მანეთიანი მომაწოდა. იმ ჩვენებაზე, ფაქტობრივად, ორი მანეთი უნდა მოეცა. როდესაც მანეთიანის დამატება ვთხოვე, მითხრა: „აბა, შვილო, კარგად შემომხედეო". რატომ, ძიაკაცო, მეთქი? პასუხად კი მომიგო: „ცალი თვალი მაქვსო" - ფასდაკლებას მთხოვდა (იღიმის).

მახსენდება ასეთი შემთხვევაც: როდესაც სუხიშვილები პირველად წავიდნენ საზღვარგარეთ და მსოფლიომ ისინი გაიცნო, მათზე ფილმი გადაიღეს, სახელწოდებით - „ მსოფლიო ტაშს უკრავს". რა თქმა უნდა, ეს ფილმიც ჩამოვიტანე საჩვენებლად. შემოსასვლელში დავაყენე ქალბატონი, რომელსაც რიგის კონტროლი ევალებოდა. პირველი სეანსის შემდეგ იმდენად ბევრი ხალხი მოვიდა, რომ ნაკადმა მთლიანად დაარღვია რიგი, ეს კონტროლიორი ქალბატონი უძლური გახდა, ვერაფრით შეაკავა ხალხი, ცოტა ხანში აღარც მარო(კონტროლიორს მარო ერქვა) იყო და აღარც რიგი. იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა და ასევე მიდიოდა სახლებში, შუაღამისას. ფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან" პირველად საჩვენებლად რომ ჩამოვიტანე, სამ სეანსად გავუშვი. ისეთი შთაბეჭდილებამოახდინა, რომ ხალხი პირველი სეანსის შემდეგ ადგილიდან არ დაძრულა. კიდევ დააბრუნეო, მთხოვდნენ.

რაიკომში ერთხელ თათბირზე ამირან ბილიაშვილი ამდგარა და უთქვამს: „წითელწყაროში თუ გინდა რომ კინო ნახო, აქ კი არა, არბოშიკში ჩადითო".

ასეთი ფილმი გადიოდა ინდური - „პროკურორის ვაჟი". ამ ფილმში არის მომენტი, როდესაც ამბობენ: „სასამართლო ხვალისთვის გადაიდო". ფრაზის დამთავრება იყო და ამ დროს ხალხმა დარბაზში იხუვლა: „ვაიმეეეეო". ნუ გეშინიათ ხალხოო, დღესვე გაგრძელდება, გაგრძელდება-მეთქი, დიდხანს ვარწმუნებდი აღელვებულ მაყურებელს, შეშფოთებულს, რომ სასამართლო შეიძლებოდა მართლა გადადებულიყო. მაყურებელი იმდენად შესული იყო როლში, რომ მიმდინარე პროცესები რეალობად აღიქვა.

ერთი დრო იყო, დათო იყო ბატიაშვილი თავმჯდომარედ. მოხსნეს და დიდი დავიდარაბა იყო, მის დარჩენა- არ დარჩენასთან დაკავშირებით. კინო მოვიდა ამასობაში, რომლის სიუჟეტში მოქმედი გმირი თავმჯდომარედ დარჩა. ასე როგორ დაამთხვიეო, მერე ყველას უკვირდა, რადგან ის კაცი მართლაც დატოვეს თავმჯდომარედ.

სამსახურის დატოვებას სევდიანად იხსენებს, იყო წლები, როდესაც სხვაგანაც გადაიყვანეს სამუშაოდ, უკან დაბრუნებაც სთხოვეს, მაგრამ დროის ცვლილებასთან ერთად პენსიაზე გასვლა არჩია: „1959 წლიდან რაც გადავიბარე, დაახლოებით 1992 წლამდე, ამ პროფესიით ვიმუშავე. სამ ათეულ წელზე მეტი ამ საქმეში გავატარე. მას შემდეგ რაც დავტოვე სამუშაო, ჩემს შვილს რევაზს გადავაბარე სამსახური. თუმცა, არეულმა და ბნელმა 90-იანების წლებმა ყველა პროფესიას თავისი დაღი დაასვა და ეს პროფესიაც ნელ-ნელა გაქრა. ჩემს შვილებს ნანას, ქეთევანს და რევაზს ამ საქმის მიმართ დიდი ინტერესი არ ჰქონიათ. ყველამ სხვადასხვა გზა აირჩია. უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგ ხალხთან ერთად ვმუშაობდი. გვყავდნენ ადამიანები, რომლებიც აფიშებს ხატავდნენ, რეკლამა მოჰქონდათ და მას ეკრანზე ვუშვებდით. ისეთი დიდი აფიშები კეთდებოდა, რომ პირდაპირ საოცრება იყო. აფიშაზე მხოლოდ წარწერა კი არა, პერსონაჟებიც კი იყო ხოლმე დახატული".

როგორც აღვნიშნე, ინტერვიუ შვილის, ნანა მაჩაბლიშვილის თანდასწრებით წარიმართა. მასაც ვთხოვეთ შეეფასებინა მამის მრავალწლიანი შრომა: **„ჩვენთვის მამის პროფესია მნიშვნელოვანი და, ამავდროულად, საინტერესო იყო. ძალიან კარგად ვერკვეოდით ფილმებში, მსახიობებში. დეტალურად შეგვეძლო ფილმების განხილვა. გვიყვარდა მამის საქმე, არამარტო შვილებს, არამედ ჩვენს კლასელებს, მეგობრებს. ალბათ, ამ სიყვარულის მიზეზი ისიც იყო , რომ უფასოდ შევდიოდით სეანსებზე (იღიმის). რომ იტყვიან „პოპულარული" მამა მყავდა. მაშინ პატარა ვიყავი, ტექნიკურ საკითხში ვერც ვერკვეოდი და ვერც ვეხმარებოდი მას, მაგრამ პროცესი ძალიან კარგად მახსოვს. ყოველთვის იცავდნენ კინოში ყოფნისა და მოქცევის წესებს. ზედმეტად არავინ დაილაპარაკებდა. მახსოვს, ყველას მამას რიდი ჰქონდა, პატივს სცემდნენ".**

ბატონი უშანგი ახლანდელ და ძველ ფილმებს ერთმანეთს ადარებს და ამბობს, რომ ისინი აბსოლუტურად განსხვავებულია ერთმანეთისგან: „დღევანდელი ფილმები, რა თქმა უნდა, განსხვავებულია იმისგან, რაც მაშინ გადიოდა. კითხვაზე, მომწონს თუ არა ისინი, გულახდილად გპასუხობთ, რომ არა. მაშინ აღმზრდელობითი ფილმები გაცილებით მეტი იყო. ახლა კი ძირითადად ისეთ ღირებულებებზეა ყურადღება გადატანილი, რომელიც ადამიანს ცუდი თვისებების გამომჟღავნებისკენ უბიძგებს. ეს ნაკლებად მისაღები და არასწორი მგონია. მაშინ მკაცრად იყო ასაკი შეზღუდული. ამ მითითების შეუსრულებლობა არ შეიძლებოდა. გარდა ამისა, იყო ასეთი სეანსებიც - გახანგრძლივებული კინო ერქვა. დაახლოებით 10 წუთიანი შესავალი კეთდებოდა (ჟურნალები ერქვა), რომელიც ფილმს უსწრებდა წინ. გადიოდა ყველაფერზე: სამედიცინო სიახლეებზე, სამეცნიერო, შემეცნებით, სპორტულ-ტექნიკურ თემებზე. მისი გაუშვებლობა არ შეიძლებოდა. მაგრამ ხალხი ისე მოუთმენლად ელოდა ხოლმე ფილმის დაწყებას, რომ ხშირად მის გამოტოვებას მთხოვდა. ხანდახან „გამონაკლისსაც" ვუშვებდი და ჟურნალის გარეშე ვიწყებდი სეანსს. ხალხი რომ არ ეტეოდა ხოლმე, სკამებს ვამატებდით თავისუფალ სივრცეში, ყველა მსურველი რომ დასწრებოდა. მაშინ კინოში მთელი სოფელი ოჯახებით დადიოდა. ახლა ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ყველა თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი. სოფელი დაცლილია. ხალხს კულტურული ცხოვრება სწყურია".**

საუბარში დრო გაიპარა, გარეთ წვიმამაც გადაიღო და შემოღამდა კიდეც. 90 წლის კინომექანიკოსი, ფილმებით რომ აერთიანებდა ხალხს, რომელიც დამაკავშირებელი რგოლი იყო მსოფლიო კულტურასა და ხალხს შორის, ინტერვიუს ამთავრებს, მადლობას მიხდის დაინტერესებისთვის და მემშვიდობება. „ფრიადოსანი კინემატოგრაფი სსრ კავშირიდან", მიღებული „მედალი შრომითი მამაცობისთვის", „საკავშირო დიპლომი კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის", დაჯილდოვება „ლენინის ორდენით", დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ გამოცხადება – ეს წოდებები და ჯილდოები მხოლოდ სახელწოდებები იქნებოდა, რომ არა ხალხის ყურადღება, სითბო და სიყვარული, მის საიუბილეო მილოცვას რომ მოჰყვა სოციალურ ქსელში. დღევანდელ ცხოვრებაში ძნელია, ამდენი წელი მიუძღვნა ერთ საქმეს და ერთხელაც არ გაგიელვოს ფიქრმა, რომ არასწორ ადგილას, არასწორ დროსა და ადამიანებთან მოხვდით. ასეთი ადამიანების არსებობა დაგარწმუნებთ, რომ მთავარია აკეთოთ საქმე, რომელიც გიყვართ, მოგწონთ და სიამოვნებას განიჭებთ. წლები და თაობები კი თავის სათქმელს იტყვიან... სათქმელს, რომელიც მადლიერებითა და პატივისცემით იქნება გამოხატული. სათქმელი, რომლითაც გაგიხსენებენ, შეგაქებენ, იამაყებენ...

ესაუბრა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

საზღვრის უკანონო გადაკვეთის საქმე

დედოფლისწყაროს სოფელ საბათლოში სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად, უკანონო გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველოს თანამშრომლებმა ეთნიკურად აზერბაიჯანელი ორი მოქალაქე დააკავეს. საგარეჯოში მცხოვრებ მამაკაცებს, რომლებიც დედოფლისწყაროში მუშაობდნენ, ჩხრეკის შედეგად გასაბერი კამერა აღმოაჩნდათ. სასამართლომ დამნაშავეებს საპროცესო შეთანხმება გაუფორმა და პატიმრობიდან გირაოთი გაათავისუფლა, თუმცა ამის მიუხედავად, საქმე ზედა ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრდა. ორივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უკვე გამოქვეყნებულია. „შირაქი“ სასამართლოს ორივე განაჩენს გაეცნო და იმის გარკვევას ეცადა, რა მოხდა საბათლოში და რა სასჯელი დაეკისრა დაკავებულებს.

21 დეკემბერს, დაახლოებით 22:45 საათზე, ბრალდებულები შეეცადნენ ჯგუფურად, უკანონოდ გადაეკვეთათ დედოფლისწყაროს სოფელ საბათლოს მიმდებარედ გამავალი საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი და გადასულიყვნენ აზერბაიჯანში, რა დროსაც დაკავებული იქნენ სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების მიერ. მესაზღვრეებმა Თ.ბ. და ა.კ. იმ დროს დააკავეს, როცა საზღვრისკენ მიდიოდნენ და მიუახლოვდნენ მას დაახლოებით 55 მეტრში. თან ჰქონდათ ერთი საბურავის კამერა და ჩანთა. ჩხრეკის ოქმების თანახმად თ.გ-ს არანაირი დოკუმენტი არ აღმოაჩნდა, ხოლო ა.კ-ს ჰქონდა პასპორტი და სხვა არაერთი დოკუმენტი.

გამოძიებაში მოპოვებული მტკიცებულებებით – პატაკით, მოწმეების ბ.ე-ის, ლ.ზ-ს, ა.ბ-ის გამოკითხვის და დაკავების ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, საზღვრის კვეთის მონაცემებით და საქმის სხვა მასალებით, რომლებიც სადავო არ გაუხდია დაცვის მხარეს, დადასტურდა ჩადენილი დანაშაული. **ა.კ-ს ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა: საზღვარგარეთის პასპორტი, მისი მამის ტ.კ-ის საზღვარგარეთის პასპორტი, ტ.კ-ს დაბადების მოწმობის ასლი, ლიბერთი ბანკის შემოსავლის ორდერი, ტელეფონის დამტენი, ორი სანთებელა და გასაღები. სამი ცალი 100 აშშ დოლარიანი, ორი ცალი 100 ლარიანი კუპიურა, ექვსი ცალი 50 ლარიანი კუპიურა, ერთი ცალი 20 ლარიანი კუპიურა, ერთი ცალი ერთი მანათის კუპიურა, ერთი ცალი ორ ლარიანი, ორი ცალი ოც თეთრიანი. IPHONE-ს ტელეფონი, რომელშიც მოთავსებულია ორი სიმბარათი ქართული ნომრით. დასაკეცი დანა. ვერცხლისფერი ყელსაბამი, სამაჯური და ვერცხლისფერი, შავ თვლიანი ბეჭედი.**

თ.ბ-ს ჩხრეკისას ამოღებულია მუქი საფულე, 6 ცალი 20 თეთრიანი, 4 ცალი ათ თეთრიანი, ორი ხუთ თეთრიანი, შავი NOKIA-ს მობილური ტელეფონი, მოთავსებულია სიმბარათი ბილაინის ნომრით 571 06 02 **, საბურავის კამერა, შავი ჩანთა წარწერით „PUMA“, ელექტრო საპარსი „BRYOM“, დასაკეცი ბარათების ჩასადები, ა.კ-ის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა და ფასდაკლების ბარათები.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულში დახმარება სთხოვა თ.გ-ს, რაზეც დათანხმდა. ასწავლა გზა და მიიყვანა მდინარე ალაზანთან, საზღვართან 55 მეტრში, საიდანაც მდინარის გადალახვით, შეძლებდა საზღვრის უკანონო გადაკვეთას. თ.გ-ის მიმართ სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს. ბრალდებულის პიროვნებას, მის წარსულ ცხოვრებას, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ. სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა ის, რომ თ.გ-მა აღიარა დანაშული, ხოლო დამამძიმებელი გარემოებაა ის, რომ პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა ჩაიდინა დანაშაული და ეს მაშინ, როცა მის ყოფაქცევას პრობაციის სამსახური აკონტროლებდა. სასამართლო თვლის, რომ ბრალდებულ თ.გ-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის და 6 თვით, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, დამნაშავის რესოციალიზაციას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და სამართლიანობის აღდგენას.

მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილის გადაწყვეტილებით პროკურორ გ.ხ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულ ა.კ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება; ა.კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული **დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით,**





რაც ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელ ვადაში, მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა 5 000 ლარი; ა.კ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო დარბაზიდან; გამოსაცდელი ვადის პერიოდში დაეკისრა - პრობაციის სამსახურის ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს ბინადრობის ადგილი.

თ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 19,344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და **სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახლადდანიშნულ სასჯელს დაემატა – თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით თ-გ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვით; თ.გ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა.**

განაჩენი ზედა ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრდა და სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვა ხელახლა დაიწყო. სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვისას დაცვის მხარემ დააზუსტა თავისი მოთხოვნა. ადვოკატმა განმარტა, რომ მსჯავრდებულ თ.გ-ს არასდროს ჰქონია საზღვრის გადაკვეთის განზრახვა და მცდელობა. ის ეხმარებოდა ა.კ-ს. განზრახვა მოიცავდა ერთი პირის მიერ სახელმწიფო საზღვრის კვეთას და თ.გ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის ჩადენაში დახმარებად და დაინიშნოს ლმობიერი სასჯელი გირაოს სახით. პროკურორი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და ითხოვა განაჩენის უცვლელად დატოვება. მან განმარტა, რომ საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება არ ადასტურებს, რომ გ.ი იყო დამხმარე და უშუალოდ თვითონ არ აპირებდა საზღვრის გადაკვეთას. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ მტკიცებულებების შინაარსი. ისინი დავობენ მხოლოდ ვერსიებზე. პროკურატურა ადასტურებს, რომ ა.კ-სთან ერთად თ.გ-ც უნდა გადასულიყო საზღვარზე, ხოლო დაცვის მხარის ვერსიით ის მხოლოდ ეხმარებოდა კ-ს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში.

„რაც შეეხება არსებულ ბრალდების მტკიცებულებებს, არცერთი მათგანი არ გამოდგება იმის დასადგენად, მოიცავდა თუ არა გ-ს განზრახვა საზღვრის კვეთას. გ-ის ის ქმედება, რა ვითარებაშიც დააკავეს, იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მასაც სურდა საზღვრის კვეთა. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია, რამდენადაც შესაძლო და გონივრულია საპირისპიროს ვარაუდიც. ბრალდების მტკიცებულებებით აღმოჩენილია საბურავის კამერა, რაც მდინარის გადასალახად მხოლოდ ერთ პირს გამოადგებოდა. თუ მეორეც აპირებდა გადასვლას, ლოგიკურად მასაც თავისი კამერა უნდა ჰქონოდა. გ-ს პირადი ჩხრეკისას არ აღმოაჩნდა პირადობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი, რაც აზერბაიჯანში გადასვლის შემდეგ ლოგიკურად დასჭირდებოდა და ამაზე უნდა ეზრუნა კიდეც, მაშინ, როცა ყველა ასეთი დოკუმენტი თან ჰქონდა კ-ს. უდავოდ დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები, რომ ამ დანაშაულის ამსრულებელი იყო ა.კ, თანამონაწილე კი თ.გ. მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა ერთი პირის მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობა და ამ ქმედებაში თ.გ-ს მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი გამოიხატება დახმარებაში, უშუალოდ მის მიერ საზღვრის გადაკვეთის მცდელობის გარეშე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თ.გ. არ არის თანაამსრულებელი, არამედ დამხმარეა.

სანქციის ზომის შერჩევისას პალატა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას და თვლის, რომ თ.გ-ს ამ დანაშაულისათვის სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვით, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, დამნაშავის რესოციალიზაციას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და სამართლიანობის აღდგენას.

მსჯავრდებულ თ.გ-ის და მისი დამცველი ადვოკატის ვ-ის სააპელაციო საჩივრები, სააპელაციო სასამართლო სხდომაზე დაზუსტებული – კვალიფიკაციის შეცვლის მოთხოვნით, დაკმაყოფილდა. თგ-ის ქმედება სსკ-ის 19.344-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 25.19.344-ე მუხლის I ნაწილზე. თ-გ- ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 25.19.344-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს სიღნაღის სასამართლოს განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, **ახლადდანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს - სიღნაღის სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, თ-გ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. თ-გ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია,“** - ნათქვამია მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილის საბოლოო განაჩენში.

ნაკრძალში ზოგჯერ ქურციკებიც კვდებიან...

ვაშლოვანის ნაკრძალში გასულ წელს ორი მკვდარი ქურციკი იპოვეს, ორივე სავარაუდოდ მგელმა იმსხვერპლა. ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ ისინი ბუნებრივ პირობებში არიან გაშვებულნი, რის გამოც ნადირისგან დაცულები არ არიან. თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი სიკვდილიანობა მაინც დაბალია და მთავარი მიზანი-ქურციკების აღდგენის პროექტის წარმატებით განხორციელება მიღწეულია.

„29 ნოემბერს დედოფლისწყაროში, სამუხის ველზე მკვდარი ქურციკის ნარჩენები და ძვლები იპოვეს. წინა შემთხვევების მსგავსად სავარაუდოდ, ისიც მგლებმა შეჭამეს“ - ამის შესახებ ვაშლოვანის ნაკრძალის წლიურ ანგარიშშია ნათქვამი, სადაც ასევე მოცემულია ფოტოსურათებიც.

„სამწუხაროდ, 20 სექტემბერს, სამუხის ველზე რეინჯერების მიერ ნანახი იყო 1 მკვდარი მამრი ქურციკი, რომელსაც უკვე სვავები ეხვეოდნენ. აღსანიშნავია, რომ წინა დღეებში აღნიშნული ქურციკი სხვა ინდივიდებისგან განცალკევებით გადაადგილდებოდა, შესაძლოა ავად იყო, რადგან ძალიან ნელა მოძრაობდა და ამიტომ გახდა მგლების მსხვერპლი,“ – ვკითხულობთ ანგარიშში.

„შირაქის“ მკითხველმა იცის, რომ თითქმის ათი წელია, დედოფლისწყაროში ქურციკების აღდგენის პროგრამა ეფექტურად მიმდინარეობს. მანამდე ვაშლოვანში ქურციკები ვოლიერში დამწყვდეული ჰყავდათ, რის გამოც ეს მეთოდი არაეფექტური აღმოჩნდა და პირველი მცდელობა კრახით დასრულდა. დედოფლისწყაროსთვის საჩუქრად გადმოცემული ჯეირნების პირველი პარტია დაიხოცა. შემდეგ მიდგომა შეიცვალა და ისინი ბუნებაში თავისუფლად გაუშვეს. ქურციკები ხშირად დედოფლისწყაროს ტერიტორიას ტოვებენ და აზერბაიჯანში გადადიან, მაგრამ კვლავ ბრუნდებიან და სამუხის ველზე თავისუფლად ბინადრობენ. გაშვებული ქურციკებისთვის მეტი საფრთხეა, თუმცა, ბოლო წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ მეთოდით ეფექტის მიღწევა მოხერხდა, ქურციკების რაოდენობა უკვე 250-ს აღწევს და ხშირად ჰყავთ ნამატი.

ქურციკების აღდგენის პირველივე დღიდან მათ მონიტორინგზე ვაჟა ყოჩიაშვილი ზრუნავს, რომელიც ყოველდღიურად ახორციელებს დაკვირვებას. „შირაქთან“ საუბრისას ის ამბობს, რომ მცირე დანაკარგი ყოველ წელს ფიქსირდება და ველურ გარემოში სხვაგვარად შეუძლებელია. მთავარი ისაა, რომ საბოლოო ჯამში, გადაშენებული სახეობის ბუნებრივ პირობებში გამრავლება ხერხდება.

„როგორც იცით, ქურციკების ნაწილს ვაკონტროლებთ გადამცემებით, რომლის საშუალებითაც ვიგებთ ქურციკის ადგილსამყოფელსაც და მის სიკვდილის ფაქტსაც. გარდა ამისა, პერიოდულად ვპოულობთ მგლის ან ფოცხვერის მიერ შეჭმულ ქურციკს, რომლიდანაც ვიღებთ ნიმუშებს და უტარდება ექსპერტიზა სიკვდილის მიზეზის და მტაცებლის სახეობის დასადგენად. ყველა შემთხვევის პოვნა და აღრიცხვა ვერ ხერხდება. ზოგჯერ არცერთი დაღუპული არ გვხვდება, ხან კი არის შემთხვევები, როცა 2-3 მკვდარ ქურციკს ვპოულობთ,“ – უთხრა „შირაქს“ ვაჟა ყოჩიაშვილმა.

„შარშან შეინიშნებოდა მგლების სიმრავლე მანამ, სანამ ცხვრის ფარები დატოვებდნენ ჩვენს ტერიტორიაზე არსებულ საძოვრებს. მაისის ბოლოდან ცხვრის ფარების ზაფხულის საძოვრებზე წასვლასთან ერთად იკლო მგლების რიცხოვნობამ, ხოლო ოქტომბრიდან ცხვრის დაბრუნებასთან ერთად კვლავ მოიმატა მტაცებლების რაოდენობამაც. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქურციკები ვოლიერთან შედარებით უკეთ შეეგუვნენ გაშლილ ველს. სამუხის გაშლილ სივრცეში სწრაფი სირბილის უნარით ადვილად იცავენ თავს მტაცებელისგან, ამასთანავე, საკვებიც და წყალიც საკმარისი აქვთ,“ – აღნიშნავენ ვაშლოვანის ადმინისტრაციაში.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

კოლაგენი – ცილა, ახალგაზრდობის უზრუნველყოფისთვის

კოლაგენი ადამიანის სხეულში ყველაზე დიდი რაოდენობით არსებული ცილაა, რომელიც გვხვდება ძვლებში, კუნთებში, კანში და მყესებში. ეს არის ნივთიერება, რომელიც კრავს და აერთიანებს სხეულის სხვადასხვა ნაწილებს. მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კანის სტრუქტურის უზრუნველყოფა. კოლაგენი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც „წებო“, რომელიც სხეულის სხვადასხვა ნაწილების შეერთებას უზრუნველყოფს. მისი სახელის წარმომავლობაც სწორედ აქედან მომდინარეობს - „kolla” ბერძნული სიტყვაა და წებოს ნიშნავს.

კოლაგენმა ბოლო წლებში განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა. იგი აქტიურად გამოიყენება სუფთა სახით, როგორც საკვები დანამატი და დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც სახის მოვლის საშუალებების, ასევე შამპუნებისა და ტანის მოვლის ლოსიონების ერთ-ერთი ძირითადი ინგრედიენტი. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ ამ ბლოგში გესაუბროთ ამ მნიშვნელოვან, ადამიანისთვის აუცილებელ ნივთიერებაზე და მის სარგებელზე ჩვენი ორგანიზმისთვის.



კოლაგენი ჩვენს სხეულში არსებული ცილების დაახლოებით მესამედს შეადგენს და ძვლების, კანის, კუნთების, მყესების და იოგების ერთ-ერთ მთავარ საშენ მასალას წარმოადგენს. ის ასევე გვხვდება სხეულის სხვა ნაწილებშიც, მაგალითად: სისხლძარღვებში, რქოვანასა და კბილებში. არსებობს ორი წარმომავლობის კოლაგენი. პირველი ეს არის ენდოგენური, იგივე ბუნებრივი კოლაგენი, რომელიც ჩვენს სხეულში სინთეზირდება და უზრუნველყოფს სხეულის სიჯანსაღესა და სიძლიერეს. ხოლო მეორე სახის კოლაგენი ეგზოგენური კოლაგენია, რომელიც ხელოვნურად სინთეზირდება და ორგანიზმში ხვდება გარე წყაროებიდან (საკვებიდან და საკვები დანამატებიდან). ეგზოგენური კოლაგენი ძირითადად გამოიყენება სამედიცინო და კოსმეტიკურ ნაწარმში, სხეულის ქსოვილების ჯანმრთელობისა და გაჯანსაღების მიზნით. კოლაგენი მყარი, უხსნადი, ბოჭკოვანი ცილაა, რომლის მოლეკულებიც მყარად არიან ერთმანეთთან შეკრულები და ქმნიან თხელ, გრძელ ფიბრილებს. ჩვენს ორგანიზმში სულ მცირე 16 სხვადასხვა სახის კოლაგენი არსებობს, თუმცა ძირითად, 80-90%-ს I, II, III ან IV სახის კოლაგენი შეადგენს. განვიხილოთ ეს ძირითადი 4 ტიპის კოლაგენი და მათი როლი ჩვენს ორგანიზმში:

ტიპი I - ამ ტიპის კოლაგენი შეადგენს ჩვენს სხეულში არსებული მთლიანი კოლაგენის უდიდეს ნაწილს. იგი დამზადებულია მჭიდროდ დაკავშირებული ბოჭკოებისგან და უზრუნველყოფს კანის, ძვლების, მყესების, ბოჭკოვანი ხრტილების, შემაერთებელი ქსოვილისა და კბილის სტრუქტურის სიძლიერეს.

ტიპი II — იგი დამზადებულია უფრო თავისუფლად დაკავშირებული ბოჭკოებისგან და გვხვდება სახსრებში არსებულ ელასტიურ ხრტილებში.

ტიპი III - ამ ტიპის კოლაგენი ხელს უწყობს კუნთების, ორგანოებისა და არტერიების სტრუქტურას.

ტიპი IV — ეს ტიპი ეხმარება ფილტრაციას და გვხვდება ჩვენი კანის ფენებში.

საკუთარ სხეულს შეგვიძლია დავეხმაროთ კოლაგენის გამომუშავებაში შემდეგი საკვები ნივთიერებების მიღებით:

ვიტამინი C - დიდი რაოდენობით გვხვდება ციტრუსებში, ბულგალურ წიწაკასა და მარწყვში.

პროლინი - გვხვდება კვერცხის ცილაში, რძის პროდუქტებში, კომბოსტოსა და სოკოში.

გლიცინი - დიდი რაოდენობით შეიცავს ღორის კანი, ქათმის ტყავი, ჟელატინი და სხვადასხვა ცილის შემცველი საკვები.

სპილენძი (copper) - გვხვდება სხვადასხვა ორგანოების ხორცში, კაკაოს ფხვნილში, ქეშიუსა და ოსპში.

როგორ მუშაობს კოლაგენი?

კოლაგენი ძირითადად გვხვდება შემაერთებელი ქსოვილის უჯრედებში. დერმისში (კანის შუა ფენა) კოლაგენი ხელს უწყობს უჯრედების ბოჭკოვანი ქსელის ფორმირებას, რომელზეც ხდება ახალი უჯრედების გაზრდა. იგი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კანის მკვდარი უჯრედების ჩანაცვლებასა და აღდგენაში. კოლაგენი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კანის გაჯანსაღებასა და ელასტიურობის მატებაში, ამცირებს ნაოჭებს და სიმშრალეს. გარდა ამისა, კოლაგენი განაპირობებს ჩვენი ხრტილების მთლიანობას, უზრუნველყოფს სახსრების სიძლიერეს და ამცირებს ოსტეოართრიტით დაავადების რისკს.

კუნთოვანი ქსოვლის 10%-ს კოლაგენი წარმოადგენს. სწორედ ეს ცილა განაპირობებს ძვლების სტრუქტურულ სიძლიერესა და გამძლეობას. ამიტომ, ასაკის მატებასთან ერთად, კოლაგენის მიღება უზრუნველყოფს ოსტეოპოროზის თავიდან არიდებას და ძვლის მოტეხილობის რისკის შემცირებას. ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კოლაგენს ჩვენი კუნთების ძლიერ და გამართულ ფუნქციონირებაში.

როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, კოლაგენი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჯანმრთელობაშიც. იგი განაპირობებს არტერიების სტრუქტურის სიძლიერეს. მისი სიმცირის შემთხვევაში არტერიები შეიძლება გახდეს სუსტი და მყიფე. კოლაგენი დაგეხმარებათ თავიდან აირიდოთ ისეთი პათოლოგიები, როგორებიცაა ათეროსკლეროზი, ინსულტი და გულის შეტევა.

რა განაპირობებს კოლაგენის ნაკლებობას?

შესაძლოა კოლაგენის დაკარგვა გამოიწვიოს შემდეგმა ფაქტორებმა: ბევრი შაქრისა და გადამუშავებული ნახშირწყლების მიღებამ, მზის ულტრაიისფერმა გამოსხივებამ, თამბაქოს მონევამ, გენეტიკურმა ცვლილებებმა, ასაკის მატებამ და დაბერების პროცესმა.

კოლაგენი მედიცინასა და კოსმეტიკაში

კოლაგენი რეზორბირებადი ცილაა, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი შეიძლება დაიშალოს/გარდაიქმნას და სხეულმა შეიწოვოს. მისი მიღება ასევე შესაძლებელია მყარი, ან არამყარი გელის სახით. კოლაგენის ასეთი მოხერხებულობა მედიცინასა და კოსმეტიკაში მისი სხვადასხვა სახით გამოყენების საშუალებას იძლევა. კოლაგენის ინექციებმა შესაძლოა გააუმჯობესოს კანის კონტურები და ებრძოლოს ნაოჭებს. ფილერები, რომლებიც შეიცავენ კოლაგენს, შესაძლოა გამოყენებულ იქნას სახიდან ხაზების და ნაოჭების მოსაშორებლად. ასეთი ფილერები შესაძლოა დამზადებული იყოს როგორც ადამიანის, ასევე ძროხის კოლაგენისგან. კოლაგენი შესაძლოა დაგვეხმაროს ჭრილობის მოშუშებაში, ჭრილობის ადგილას კანის ახალი უჯრედების წარმოქმნით. კოლაგენის სახვევები, შესაძლოა დაგვეხმარონ შემდეგ შემთხვევებში: ქრონიკული ჭრილობები, რომლებიც არ რეაგირებენ სხვა მკურნალობაზე, გრანულირებადი ჭრილობები, რომლებზეც სხვადასხვა ქსოვილი იზრდება, ნეკროზული ან დამპალი ჭრილობები, მეორე ხარისხის დამწვრობა, კანის დონაციის ადგილები და კანის გადანერგვები. სისხლძარღვთა პროთეზირებაში დონორების კოლაგენის ქსოვილის გრაფტები გამოიყენება პერიფერიული ნერვების რეგენერაციაში, სისხლძარღვთა პროთეზირებაში და არტერიების რეკონსტრუქციაში. კოლაგენის დანამატები ასევე გვეხმარება ოსტეოართრიტის მკურნალობაში. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ კოლაგენის შემცველი დანამატები ხელს უწყობს მტკივნეული სიმპტომების შემცირებას და სახსრების ფუნქციის გაუმჯობესებას ოსტეოართრიტის მქონე ადამიანებში.

საკვები დანამატის სახით მიღებული კოლაგენის ძირითადი წყარო თევზი და სხვადასხვა ცხოველია, განსაკუთრებით: ღორი და ძროხა. კოლაგენი ძირითადად გვხვდება დამუშავების სამი ძირითადი ფორმის მიხედვით:

***ჰიდროლიზებული კოლაგენი - ეს ფორმა ასევე ცნობილია, როგორც კოლაგენ პეპტიდი. იგი დაშლილია უშუალოდ ამინომჟავების დონემდე.**

***ჟელატინი - ასეთ ფორმაში კოლაგენი მხოლოდ ნაწილობრივ იშლება ამინომჟავებად.**

***ნედლი - ნედლი, ანუ დაუმუშავებელი, კოლაგენის ცილა უცვლელი რჩება.**

სხვადასხვა კვლევის მიხედვით, კოლაგენის სხვა ფორმებთან შედარებით, ჩვენი სხეული ჰიდროლიზებულ, კოლაგენ პეპტიდს უფრო ეფექტურად ითვისებს. კოლაგენის ყველა ფორმა საჭმლის მონელების დროს იშლება ამინომჟავებად. ამის შემდეგ შეიწოვება და გამოიყენება კოლაგენი ჩვენი ორგანიზმისათვის საჭირო სხვა ცილების შესაქმნელად. სწორედ ამიტომაა მეტად ეფექტური კოლაგენის უკვე ამინომჟავებამდე დაშლილ, პეპტიდური ფორმით მიღება.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, 35 წლის ასაკის, 72 ქალი, 12 კვირის განმავლობაში ყოველდღიურად იღებდა 2.5 გრამ ჰიდროლიზებულ კოლაგენს (I და II ტიპი). შედეგად, ნაოჭების სიღრმე 27%-ით შეუმცირდათ და გაიზარდა კანის დატენიანება 28%-ით.

საკვები დანამატის სახით ასევე არსებობს კეტო კოლაგენიც. იგი არის MCT-სა და ბალახეულზე დამზადებული კოლაგენი, რომელიც წარმოადგენს ჯანსაღი ცხიმებისა და ცილის წყაროს და რომელიც შეგიმსუბუქებთ კეტო დიეტას.

კოლაგენის მიღების წესი და დოზირება

კანის ჯანმრთელობისა და ნაოჭებთან ბრძოლისათვის სასარგებლოა 2.5 გრამი I და II ტიპის კოლაგენ პეპტიდის მიღება 8-12 კვირის განმავლობაში. სახსრების ტკივილის შემთხვევაში ეფექტურია ყოველდღიურად 40 მგ ნედლი, II ტიპი კოლაგენის მიღება 6 თვის განმავლობაში, ან 2 გრამი კოლაგენ პეპტიდის მიღება 10 კვირის განმავლობაში. ძვლის სიმკვრივის გასაზრდელად სასურველია ყოველდღიურად 5 გრამი კოლაგენ პეპტიდის მიღება, რომელიც მიღებულია ძროხისგან. კუნთების მშენებლობისათვის ეფექტურია 15 გრამი კოლაგენის მიღება ყოველდღიურად.

ასაკის მატებასთან ერთად ჩვენი ორგანიზმი ამცირებს კოლაგენის წარმოებას, იკლებს კანის ელასტიურობა, წარმოიქმნება ნაოჭები და სუსტდება ძვალ-სახსროვანი სისტემა. ქალების შემთხვევაში, მენოპაუზის შემდეგ კოლაგენის სინთეზის მკვეთრი შემცირება ხდება. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 60 წლის შემდეგ კოლაგენის წარმოების შემცირება სრულიად ნორმალური მოვლენაა. ასე რომ, ასაკის მატებასთან ერთად, სულ უფრო საჭირო და აუცილებელი დანამატი ხდება კოლაგენი, ადამიანისთვის მნიშვნელოვანი ორგანოების სწორი ფუნქციონირებისთვის.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა



კ რ ო ს ვ ო რ დ ი



შ ვ ე უ ლ ა დ: 1. რომელი ნედლეულისგან იღებენ ქაღალდს 2. პარაზიტი ჭია ადამიანის ნაწლავებში 3. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება 4. შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რომელივ მოთავსებულია თავის ტვინის ფუძესთან და გავლენას ახდენს ორგანიზმის ზრდაზე 5. დონ კიხოტის ცხენი 6. სომხეთის დედაქალაქი 7. თვალის ფერადი გარსის ანთება 14. ხილის რბილობი არის ცრუ ნაყოფი. რა არის ნამდვილი ნაყოფი 15. ფური პირველი ხბოს მოგებამდე 16. რა არ აქვს თეთრ ლექსს 17. ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ცივი ომის“ გაჩაღებას 18. ხელოვნური ბოჭკო. ერთდროულად მიიღეს ნიუ-იორკში და ლონდონში, რაც აისახა სახელწოდებაზე 20. ფრინველი - ახალი ზელანდიის სიმბოლო 21. იტალიური ცეცხლსასროლი იარაღი. უწოდეს კონსტრუქტორის სახელი 24. მხატვარი ... ოქროპირიძე 27. სპარტანელების დევიზი: „ფარით, ... ფარზე“

თ ა რ ა ზ უ ლ ა დ: 4. გზებისა და ვაჭრობის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში 8. ტემპერატურული სკალა 9. ვინ ჩაატარა პირველად ცოფის საწინააღმდეგო აცრები 10. თოჯინა, რომლის მამას, კარლო კოლოდის პატივსაცემად ალექსეი ტოლსტოიმ კარლო უწოდა 11. საკანცელარიო ნივთი, რომლის სკულპტურა აღმართეს ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ 12. მაღალმოლეკულური ნაერთი, რომელიც მონომერებისგან შედგება 13. პატარა აეროსტატი. რომლის მეშვეობით ატმოსფეროს ზედა ფენებში მეტეოროლოგიურ მონაცემებს იწერენ 15. ხე, რომლის ქერქი სანელებლად გამოიყენება 19. რეპტილია ფრანგულ კულინარიაში 20. ფრანგული ბაღები - შადრევანი, ინგლისური ბაღი - ველური ტყე, იაპონური ბაღი - ქვები, იტალიური ბაღი - ... 22 ტერმინი, რომელიც ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში ნიშნავს „სულის განწმენდას“ 23. რომეოსა და ჯულიეტას ქალაქი 25. ქედი რუსეთში, რომელზეც გადის წარმოსახვითი საზღვარი ევროპასა და აზიას შორის 26. მდინარე, რომელიც ლაპტევების ზღვაში ჩაედინება 27. მარჯნის კუნძული 28. ზამბახი 29. მამული, ..., სარწმუნოება

კონტრაბანდული უაქციზო სიგარეტი დედოფლისწყაროში – დაკავებულია მამაკაცი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა იანვრის თვეში უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 20 ფაქტი გამოავლინა, დაკავებულია ცხრა პირი. მათ შორის კანონდარღვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროშიც. „შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის მიმდებარედ მოქმედ თამბაქოს მაღაზიაში უაქციზო კონტრაბანდული სიგარეტია აღმოჩენილი, რის გამოც მაღაზიის მფლობელი რადიკ ზოროღლიანი დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, 2023 წლის იანვრის თვეში, საქართველოს მასშტაბით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 20 ფაქტი გამოავლინეს, რაზეც ბრალდებულის სახით, 20 პირი პასუხისგებაში მისცეს, მათგან 9 პირი დააკავეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სხვადასხვა დასახელების, ჯამში 83 697 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება 410 000 ლარს აღემატება. დანაშაული ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, თავისუფლების აღკვეთით 6-დან 8 წლამდე ვადით.

ხსოვნა

შ ო თ ა ბ ი კ ა შ ვ ი ლ ი



20 თებერვალს 90 წელი შეგისრულდებოდა, გილოცავთ იმიერ სამყოფელში! ათეული წლის განმავლობაში ღირსეულად იკავებდი გაზეთ „შირაქის“ რედაქტორის მოადგილის პოსტს. შენი თანამშრომლები ხშირად ვიხსენებთ ერთად გატარებულ წლებს. გიხსენებთ, როგორც ნიჭიერ, კარგი იუმორის მქონესა და განათლებულ თანამშრომელს. „ცოცხალ ენციკლოპედიას“ გეძახდით, რადგან ნებისმიერი მოვლენა თუ ფაქტი შეუცდომლად გახსოვდა.

რედაქციიდან წასვლის შემდეგაც ყოველთვის ჩვენს გვერდით იყავი, ჭირსა თუ ლხინში. წახვედი, მაგრამ დატოვე კარგი სახელი, საამაყო ოჯახი.

ჩვენო შოთა, ჩვენს გულებში სამუდამოდ მისაბაძ და საუკეთესო ადამიანად დარჩები. შენ გვასწავლე სიკეთე და სიყვარული, საუკეთესო დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს, ჩვენო ძვირფასო კოლეგავ და მეგობარო! იძინე მშვიდად, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

შ ე ნ ი „შ ი რ ა ქ ე ლ ე ბ ი“

მონატრება

ელ ე ნ ე ჭ უ ა ძ ე

ოცდაათი წლის იყო, ჩვენთან რომ მოვიდა, ჩვენ - მხოლოდ ათი წლის ცნობისმოყვარე ბავშვები. მას შემდეგ ერთად ვიარეთ მთელი შვიდი წელი. იყო მასწავლებელიც და იყო კლასის დამრიგებელიც, თუმცა შვიდი წელი მხოლოდ სიმბოლური თარიღია. ის მთელი ცხოვრება ჩვენთან ერთად იყო. აღიარებდა, რომ პირველი სადამრიგებლო კლასი პირველი სიყვარულივით იყო მისთვის. ბევრწილად მისი დამსახურებაც იყო, რომ ჩვენი კლასი, იმ დროს სკოლაში ბევრი აქტივობით გამორჩეული, ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების კლასი იყო და ეს ძალიანაც ეამაყებოდა. მან, საგნის სწავლებასთან ერთად, თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენი სულის კარების შეღებაც მოახერხა. საბჭოთა ეპოქის ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში, ჩვენს წინაშე ფართოდ გააღო სამყაროს ფანჯარა და ის სიღრმეები დაგვანახა, რომელიც მაშინ მიუწვდომელი იყო ბევრი ბავშვისთვის. მისი ასეთი ქცევა, იმ დროისთვის, მიუღებელი იყო მავანთათვის, ზედმეტად თამამი ეჩვენებოდათ ზოგიერთ თემაზე საუბარი, მაგრამ ის, თავისი შეხედულებებით, დროს უსწრებდა და მომავლის განსხვავებული ხედვაც მხოლოდ მისთვის იყო დამახასიათებელი.

მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ბევრი წოდება და რეგალია დააგროვა, მაგრამ განა მასწავლებლისთვის რომელიმე ჯილდო ბავშვების სიყვარულზე აღმატებული შეიძლება იყოს? მასწავლებლობა, თავისთავად, გმირობაა, მით უფრო, თუ ამ პროფესიას უღალატოდ და თავდადებით ემსახურები. „ჩემთვის სკოლის ზარი მხოლოდ გაკვეთილის კონკრეტული დროის განმსაზღვრელი როდი იყო, იგი შთამაგონებდა, რომ ცოდნის ტაძარში სრულიად განწმენდილი და სიკეთით აღვსილი შევსულიყავი“ - ეს სიტყვები წლების წინ ერთ - ერთ საგაზეთო ინტერვიუში უთქვამს.

ამ დღეებში ჩვენს ლენა მასწავლებელს - ელენე ჭუაძეს - დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. ოთხი წლის წინ გადაინაცვლა მარადიულ სამყოფელში. ბოლო დაბადების დღეც მივულოცეთ, თავს შეუძლოდ გრძნობდა, მაგრამ ის სიხარული, რომელიც ჩვენი ნახვით განიცადა, დიდხანს ათბობდა მის გულს. ჩვეულებისამებრ მოიკითხა ყველას ამბავი: წარმატებები თუ წარუმატებლობა, სევდით გაიხსენა უდროოდ გარდაცვლილი ჩვენი თანაკლასელები, ისევ გვაძლევდა დარიგებებს, ჩვენ, უკვე მოწიფული ადამიანები, ისევ ბავშვებად ვიქეცით, ის - ისევ ჩვენი ცხოვრების მასწავლებელი იყო. ასე გავუთბეთ ერთმანეთს თებერვლის სუსხიანი საღამო. აპრილის თვეში კი სამუდამოდ დაგვემშვიდობა. გადაუღებლად წვიმდა მასთან გამოთხოვების დღეს, უმწეოდ ვიდექით მის განსასვენებელთან და უამრავი გრძნობა ირეოდა ერთმანეთში: მადლიერების, სიყვარულის, ვერგადახდილი ამაგის, სათანადოდ ვერდაფასების, სინანულის, ზუსტად ისეთი, როგორიც საკუთარი მშობლების წასვლის მერე გვეუფლება ადამიანებს. წავიდა და თან გაიყოლა ჩვენი ბავშვობის დიდი ნაწილი, რომელიც მისით იყო სავსე. სიცარიელე დარჩა მისი არყოფნის მერე, რადგან გვერდით აღარ გვეგულებოდა ჩვენი ყველაზე ერთგული გულშემატკივარი.

მის ოჯახში პირადი ფოტოალბომი ინახება. აღმოვაჩინეთ, რომ აქაც საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ჩვენი კლასის, მისი საამაყო სადამრიგებლო კლასის ფოტოებს. არც გაგვკვირვებია, ჩვენ ის საკუთარ შვილებში არ გვარჩევდა, უფრო მეტიც, ხშირად შვილებზე მეტ დროს გვითმობდა, რადგან გაკვეთილების შემდეგაც არ სრულდებოდა ჩვენი ურთიერთობა: ვსაუბრობდით საყვარელ წიგნებზე, საყვარელ ფილმებზე, გვასწავლიდა სიმღერას, ეტიკეტის წესებს, ჩაცმის კულტურას, წარმოიდგინეთ, ევროპულ ცეკვებსაც კი. ჩვენ ყოველთვის სხვებზე მეტი ვიცოდით თანამედროვე მეცნიერების თუ მედიცინის მიღწევებზე, პარანორმალურ მოვლენებზე. ხშირად დადიოდა ჩვენთან ერთად ლაშქრობებში, ექსკურსიებზე, სხვა თვალით გვაჩვენებდა ბუნების სილამაზეს, გვიხსნიდა, რა არის სიყვარული, სიკეთე, მეგობრობა, პატრიოტიზმი, ღირსება, ნამდვილი ქართველობა, წინაპართა დაფასება, საკუთარი თავის და სხვების პატივისცემა. ნამდვილად დიდი გამართლებაა, რომ სასკოლო ასაკში შევხვდით ადამიანს, რომელმაც გაგვილამაზა ბავშვობა და ბევრი რამ სხვა თვალით დაგვანახა.

27 თებერვალი მისი დაბადების დღეა. მადლობა, ჩვენო სათაყვანო მასწავლებელო, გაწეული ამაგისთვის, უანგარო სიყვარულისთვის, თავდადებისთვის, ჩვენი ცხოვრების მეგზურობისთვის. ჩვენს გულებს მუდამ შემორჩება თქვენი ხსოვნა და მშვენიერი, კეთილშობილი ქალბატონის ხატება, რომელიც ასე მშობლიურია ჩვენთვის!

ქ. დედოფლისწყაროს №2 საშუალო სკოლის
1980 წლის X^ბ კლასის კურსდამთავრებულები

გივი, არჩილ ღვინიაშვილები, რეგინა ჯანიაშვილი, სოფო კირვალიძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს - ჯემალის, შვილებს: ილია და ლევან კვანჭილაშვილებს, რძლებს: შორენასა და რუსოს, მძახლის

ი გ უ ლ ი ნ ა ს რ ა შ ვ ი ლ ი ს

გარდაცვალების გამო.

სოფელ ზემო მაჩხაანის წმინდა გიორგის და მირზაანის კვირაცხოვლობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი გიორგი (ჯინაშვილი), მონასტრის დედები და მრევლი იუწყებიან

ე თ ე რ ი ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ - ჯ ა მ ა ს ა პ ი შ ვ ი ლ ი ს

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

„ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში დავრჩი და აქ ვქმნი“

მისი მოხატული დოქი რომის იშვიათ ხელნაკეთთა და ანტიკვარიატის ლაბორატორიაში ინახება. დედოფლისწყაროელებმა მისი შემოქმედება საკათედრო ტაძრის მოხატვის შემდეგ გაიცნეს. ამ მნიშვნელოვანი ღვაწლისთვის ხატმწერი და მხატვარი გუჯა ტუჩაშვილი დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ 2019 წელს დასახელდა. ხატმწერი „შირაქს“ ეუბნება, რომ დედოფლისწყაროს ცენტრში მდებარე ტაძრის მოხატვა ხუთ წელს გაგრძელდა და რამდენიმე თვეში დასრულდება. სამუშაოები საკმაოდ ხარისხიანი საღებავით შესრულდა, რათა დროს გაუძლოს. მოხატვა მთლიანად ადგილობრივების შემოწირულობით დაფინანსდა.

„ტაძრის მოხატვას თავისი წესები და კანონიკა აქვს. მარტივად რომ ავხსნათ - ზემოთ უფალი და საუფლო დღესასწაულები შესრულდა, ქვედა რეგისტრებში უკვე მიწიერი წმინდანები. ესკიზებს მეუფე დიმიტრისა და მამა ნიკოლოზთან ერთად განვიხილავდით და საბოლოო ვარიანტზე შევჯერდით. ახლა გვერდით ნავების ნაწილია დარჩენილი. რამდენიმე თვეში, ზაფხულისთვის მთლიანად დავასრულებ.

– როგორ დაიწყო ამხელა შემოქმედებითი პროცესი?

– თბილისში დავიბადე და გავიზარდე. წარმოშობით ყაზბეგიდან ვარ, ზაფხულობით მშობლებს მე და ჩემი და-ძმა ბაბუასთან ჩავყავდით. იქ მასწავლიდნენ მთის წესებსა და წინაპრების ტრადიციებს. სკოლაში წიგნებსა თუ რვეულებზე ვხატავდი, აჭრელებული მქონდა ყველაფერი და ამის გამო სულ პრობლემები მქონდა სახლშიც და პედაგოგებთანაც. სკოლის შემდეგ სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩავბარე. მძიმე პერიოდი იყო: თბილისის ომი, გვარდია, „მხედრიონი“, ტყვიებიც მოხვედრია აკადემიის შენობას, მაგრამ სწავლა არასდროს შეწყვეტილა. ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი პერიოდი იქ გავატარე. აკადემიაში გახსნილი იყო ალპინიზმის კლუბი, მწვერვალებზე ავდიოდით, ეს სიცოცხლის ძალას მაძლევდა და ხატვის განწყობასაც მიქმნიდა.



სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ხელოვნებისთვის არავის ეცალა. ხანდახან ნახატებს გასაყიდად მოსკოვში ვგზავნიდი. შემდეგ ოდესაში წავედი, თუმცა, არც იქ იყო დიდად უკეთესი პირობები. ძლივს გაჰქონდათ მხატვრებს თავი, ამიტომ საბერძნეთში წასვლა გადავწყვიტე. ვხატავდი და კაპიკებად ვაბარებდი სამხატვრო მაღაზიებში. შემდეგ ერთ-ერთი გალერეის პატრონმა შემამჩნია, ის ყიდულობდა ჩემს ნამუშევრებს და ამერიკაში ან ევროპის ქვეყნებში გასაყიდად გზავნიდა. შეკვეთებს სტაბილურად მაძლევდა, მაგრამ სამ წელზე მეტხანს ვერ გავძელი... დავბრუნდი საქართველოში და ამერიკაში წასასვლელად მზადებას შევუდექი. ამ დროს ხატწერაც დავიწყე, პირველი დიდი ხატი დილმის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს შევწირე. წინამძღვარი მამა მიქაელი საკურთხევლის მოხატვას აპირებდა და მთხოვა, სანამ წახვალ, მოხატვაში დაგვეხმარეო. დაუფიქრებლად დავთანხმდი. ორ კვირაში მთავარ ხატმწერად დამასახელა და მოხატვა ჩემი ხედვით განვაგრძეთ. ისე მომეწონა, წასვლაზე ფიქრს თავი დავანებე და მთლიანად ამ საქმეს მოვკიდე ხელი. 11 წელი გავიდა და ერთი დღეც არ გამიშვია ფუნჯი ხელიდან. შემდეგ ღვთის წყალობით, დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძრის ფრესკებზე დავიწყე მუშაობა. საღამოობით სახლში ვხატავ, ხატებს ვწერ, თითქმის სულ შეკვეთები მაქვს და ეს მექცა ცხოვრების წესად.

– როგორ მოხვდით დედოფლისწყაროში?

– აქ ნუკრი ბენაშვილმა ჩამომიყვანა. თბილისიდან ვიცნობ და ვმეგობრობთ, მან დამაკავშირა ეპარქიასთან. შემახვედრა მეუფე დიმიტრის, ნახეს ჩემი ნამუშევრები და მეუფემ კურთხევა მომცა. შესაწირი ყუთებიდან შემოდიოდა თანხები, მაგრამ ძირითადად რამდენიმე კეთილი ადამიანია, რომელთა შემოწირულობაც მოხატვას მოხმარდა. მათი მხარდაჭერით გერმანული მინერალები, ყველაზე ძვირადღირებული და მაღალი ხარისხის საღებავები შევიძინეთ.

-ხატვის გარდა სხვა გატაცება თუ გაქვთ?

ხატვის გარდა, ხეზე ვკვეთდი, ბარელიეფებს, ვიტრაჟებს ვაკეთებდი. 12 წლის წინ მეზობელმა ძველი სახლი დაშალა და სხვენში უზარმაზარი თიხის დოქი იპოვა. გავწმინდე, დავგრუნტე და ძველი თბილისის ზამთრის პეიზაჟები მოვხატე. მას შემდეგ დოქებზე ხატვაც დავიწყე. ერთი თვის წინ გადავწყვიტე ერთი დოქი რომში იშვიათ ხელნაკეთთა და ანტიკვარიატის ლაბორატორიაში გამეგზავნა. ვფიქრობდი, დაახლოებით 400-500 ევროდ შეაფასებენ-მეთქი და მოულოდნელად 1.175 ევროდ შეაფასეს. რომისა და მილანის გალერეები მთელ მსოფლიოშია ცნობილი...

-სამომავლოდ რას გეგმავთ?

ტაძრების მოხატვას გავაგრძელებ! ყველაზე მეტად ის მაბედნიერებს, რომ ჩემს ქვეყანაში დავრჩი და აქ ვქმნი, რომ არ გადავიხვეწე სადღაც და მხოლოდ ჩემი თავისთვის არ ვიშრომე. თუ შეკვეთები საკმარისად იყო, ალბათ აღარ წავალ. მადლობა უფალს ყველაფრისთვის!

ილია მარტყოფლიშვილი

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ლია ქერელაშვილს! ილია ფიროსმანაშვილს!
ლეილა ნავროზაშვილს!
ნინო და ვასილ ფიროსმანაშვილებს!

გულითადად გილოცავთ მეოთხე შვილის, შვილიშვილის და ძმისშვილის ულამაზესი **კესანე ფიროსმანაშვილის** დაბადებას. სიყვარულის დღეს - 14 თებერვალს უფლის ნებით მოვლენილი კესანე, ნოდარი პაპის ხსოვნის უკვდავსაყოფად, უდიდესი საჩუქარია თქვენი შრომისმოყვარე, თბილი, ტკბილი ოჯახისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია

ირინა, სოსო და სოფო კაისაძეებს!

გილოცავთ შვილიშვილის და შვილის **გიორგის** დაბადებას. გაიზარდოს სამშობლოს სასახელო შვილი. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

პატივისცემით,
ნაზი მოსაშვილი, ანიკო ცოფურაშვილი და ციური ოღიაშვილი

მოსახლეობის საყურადღებოდ!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს, ადგილობრივი წითელი ჯვრის სამედიცინო კლინიკასა და დედოფლისწყაროს საავადმყოფოს პოლიკლინიკურ განყოფილებას, კვირაში ერთხელ,

ყოველ პარასკევს ანგიოლოგი
მიხეილ კოჭლამაზაშვილი
(სისხლძარღვთა სპეციალისტი) ესტუმრება.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ბოხუას კლინიკიდან, დედოფლისწყაროელ პაციენტებს წინასწარი ჩაწერით მიიღებს. კონსულტაციების გარდა, შესაძლებელი იქნება ვენებზე ოპერაციების ჩატარება.

ჩაწერისთვის დარეკეთ ნომრებზე:
☎ 591 81 72 40; 557 14 84 48.

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 27.02	სამშაბათი 28.02	ოთხშაბათი 01.03	ხუთშაბათი 02.03	პარასკევი 03.03	შაბათი 04.03	კვირა 05.03
დღე	16°	16°	16°	13°	10°	12°	11°
ღამე	0°	3°	5°	3°	2°	2°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბულალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი